ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

სამშაბათი, 10 მაისი, 2022 | №90 (8868) | ფასი: 80 თეთრი


გვ.5

## კრედიტ სუისი ივანიშვილს 600 მილიონს არ უხდის

## სააკაშვილი არსად გაუყვანიათ. იგი რუსთავის მე-12 დაწესებულებაშია


გვ.5

# „უკრაინა ამერიკამ იარაღით თუ არ გაძეძგა, ომი არ დამთავრდება“


გვ.2



მამუკა გამყრელიძე: „სააკაშვილის რეალური მდგომარეობა გაურკვეველია“



## „ოცნება“ ახლა სუპერკომფორტულ მდგომარეობაში, რომ იტყვიან, შოკოლადშია“

## „სააკაშვილის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება“


გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი, ცხადია, პოლიტიკური მიზნებით ჩამოვიდა, მაგრამ ციხეშიც აღმოჩნდა. ახლა ხელისუფლება ცდილობს, ეს სათავისოდ გამოიყენოს“

## გადარჩეული ბიბილოვი ისევ ცხინვალის რეგიონის რუსეთთან შეერთებას იჩემებს

„აფხაზებთან ერთად ნეონაცისტებს ვებრძვით“


გვ.4

## შალვა პაპუაშვილი: „ვინმეს ეჭვი გეპარებათ ნინო წილოსანის პატრიოტიზმში?“


გვ.3


გვ.6

## ზელენსკი: „მალე უკრაინაში გამარჯვების ორი დღე იქნება“


გვ.2

## მთავრობის მეთაური 100 წლის ომის ვეტერანს, იოსებ ტუხაშვილს, სახლში ეწვია და ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა

## როგორ აისახება კლიმატზე რუსეთ-უკრაინის ომი


გვ.4

## სიძემ დედა პატარძლის საქორწინო კაბის გამო ქორწილიდან გააგდო


გვ.6

1993230720223

2 გიორგი ბილანიშვილი: „საზეიმო რუსეთს არაფერი აქვს“

5 ასპინძაში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალი წარედგინა

5 6 მაისს აჭარის მთავრობის სახლთან დაკავებული 12 პირი ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდა

6 რუსეთს ზუსტი დამიზნების საბრძოლო მასალის მარაგი მნიშვნელოვნად ამოეწურა

# „უკრაინა ამერიკამ იარაღით თუ არ გაძეძგა, ომი არ დამთავრდება“

## მამუკა გამყრელიძე: „სააკაშვილის რეალური მდგომარეობა გაურკვეველია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, საკმაოდ აქტუალურია დღეს მიხეილ სააკაშვილის თემა. ვისმენთ შეფასებებს, რომ ის საკმაოდ მძიმედ არის, რომ აუცილებელია მისი კლინიკაში გადაყვანა. ჩნდება კითხვები, ამ ფონზე რატომ არ აქტიურობს ნაციონალური მოძრაობა? იმაზეც საუბრობენ, თითქოს ნიკა მელია მიზანმიმართულად აფერხებს პარტიის აქტიურობას. ამ პარტიის რეიტინგი მთლიანად სააკაშვილზე დგას და იმსახურებს ის პარტიისგან ასეთ გულგრილობას?***

– სხვა პარტიის ქმედებების შეფასება რამდენად კორექტული იქნება ჩემგან, არ ვიცი. შემიძლია, ერთი რამ ვთქვა, რომ სააკაშვილის რეალური მდგომარეობა, უბრალოდ, რთული გასარკვევი გახდა.

***– რას გულისხმობთ? რეალური სურათი სხვაა?***

– როგორც ვხედავთ, ეს ადამიანი სასამართლო პროცესებზე მართლაც ძალიან ცუდად გამოიყურება. ექიმები კი ამბობენ, რომ მისი მდგომარეობა სტაბილურია და კრიტიკული არ არის. ექიმების მეორე ნაწილი აცხადებს, რომ სასწრაფოდ უცხოეთშია გადასაყვანი. სახალხო დამცველის მიერ შეკრებილი კონსილიუმი იყო შესული და მერე ორი დღე ფიქრობდნენ, რა უნდა ეთქვათ. ეს ყველაფერი იწვევს გარკვეულ კითხვებს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, მოდით, ვთქვათ პირდაპირ, ყველამ ვიცოდით, რომ სააკაშვილი ვერ გაძლებდა ციხეში, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე. ეს ადამიანი არის ჰიპერაქტიური.

***– ეს ნაბიჯი ხომ თავადვე გადადგა და თვითონ გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი?***

– ეს არის მთავარი, ეს არის უმნიშვნელოვანესი. საქმეც ეგაა, გაუგებარია, რატომ ჩამოვიდა?! ამდენი წლის განმავლობაში ის არ მოდიოდა, როდესაც მართლა აქტიური იყო სიტუაცია, ახლა კი ადგა და ჩამოვიდა. ჩამოვიდა მაშინ, როდესაც რეალურად ძალიან პასიური გახდა ამომრჩეველი. ხალხიც გადაიღალა, რად უნდა ამას ამდენი ლაპარაკი. ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოება ძალიან გადაღლილია.

***– რამდენად არის დღეს ნიკა მელია კომფორტული ლიდერი „ქართული ოცნებისთვის“? ბევრი ბრალდება ისმის მისი მისამართით.***

– ვერ გეტყვით. სიმართლე რომ ვთქვათ,



**„ოცნება“ ახლა სუპერკომფორტულ მდგომარეობაში, რომ იტყვიან, შოკოლადშია“**

ეს ამბავი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, საზოგადოება რამდენად აქტიური იქნება. მე ვხედავ, რომ საზოგადოება ჰიპერაქტიურია ფეისბუქზე და, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, აქციაზე არ მიდიან.

***– სოციალურ ქსელში თითქოს ორთქლის გამოშვება ხდება. იქ იცლებიან, ბაქიბუქობენ და აქციაზე აღარავინ გადის?***

– კი ბატონო, ასეა და რა ქნას ახლა ნიკა მელიამ, რა გააკეთოს? მარტო ხომ არ იბრძოლებს?! კულუარებში რა ხდება, გამიჭირდება ამაზე საუბარი. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ გაორებულ რეალობაში. ერთი მხრივ, სოციალური ქსელები, ტელევიზიები მოუწოდებენ მაქსიმალური აქტიურობისკენ, ზოგიერთები რევოლუციასაც კი ითხოვენ. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ დღეს ამის არანაირი რესურსი არ არსებობს. სულ ვიმეორებ, ბათუმის არჩევნები იყო ძალიან კარგი მაჩვენებელი. როდესაც 70/30-ზე დაიდო. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაში აბსოლუტურად არ არის ის პროტესტი, რომელიც გამოიხატება ღიად, ანუ პროტესტი არის, მაგრამ რაღაცნაირად მოგუდულადო, ქართველები როგორც იტყვიან.

***– „ოცნების“ საპირწონე ძალად ნაციონალური მოძრაობა წარმოჩნდება. ხალხს არ უნდა ნაციონალური მოძრაობა და უკან დაბრუნება?***

– ცოცხალი თავით არ უნდათ! ამის გაგონებაც კი არ უნდათ. რამეს იტყვი და სწყინთ მერე. ხომ ნახეთ, როგორ მესხმიან თავს ნაციონალები, როგორ ბედავ, რომ მიშა შეგეცოდაო.

***– კი, ქუჩაში არ გამოდიან, მაგრამ, ხომ ვხედავთ, მთელი საინფორმაციო ველი მიშას ამბებით არის გადაფარული. სხვა პროცესი სრულიად ჩაკვდა. ეს „ოცნებისთვის“ საკმაოდ კომფორტული სიტუაციაა.***

– „ოცნება“ ახლა სუპერკომფორტულ მდგომარეობაში, რომ იტყვიან, შოკოლადშია. აბსოლუტურად არაფერი სახიფათო „ოცნებას“ არა აქვს მომავალ არჩევნებზე. ეს მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას არ ეხება. ეს ეხება ყველა ოპოზიციურ პარტიას. დღეს ოპოზიცია სუპერპასიურია. ეს მოსალოდნელიც იყო. ხომ ყველამ გადასარევად ვიცით, რომ არჩევნებს შემდეგ, მეორე წელი, ძალიან პასიურია. მომავალ არჩევნებამდე დრო დიდია, წინასაარჩევნო მომზადება არ მიმდინარეობს. შესაბამისად, არც ფულს, არც ენერგიას ეს პარტიები არ ხარჯავენ და არიან ძალიან პასიურ მდგომარეობაში. ეს სიტუაცია ღიად ჩანს.

***– უკვე რამდენი ხანია აანონსებენ ხალხმრავალ საპროტესტო აქციებს, მაგრამ ვერ დაიგეგმა. რატომ?***

– არც იქნება ხალხმრავალი აქციები. მაგაზეც მედავებიან. რომ ვეუბნები, სოციალურ ქსელში წივით-კივით და 500 კაცი ვერ გამოდიხართ ქუჩაში-მეთქი. 1500 კაცი ვიყავითო. ჯანდაბას, დავუშვათ, იყვნენ. ეს საკმარისია იმისთვის, რომ რამე შეიცვალოს?!

***– სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვები, მიზანმიმართულად ხომ არ უქმნიან „ოცნებას“ კომფორტულ სიტუაციას?***

– ვერ ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ. იმის მაგივრად, რომ სიმართლეს თვალებში შეხედონ, მე მირჩევენ საქმეებს. ჩვენ ვაფასებთ სიტუაციას და ისინი იწყებენ ჩხუბს, როგორ ბედავ, ამას როგორ ამბობო. გამოგონილ სამყაროში ცხოვრობენ. რაც ხდება ამ ქვეყანაში, ეს ხომ მხოლოდ პოლიტიკოსების ბრალი არ არის. ეს ხომ საზოგადოების ბრალიც არის?! როგორ ბედავ ხალხის დადანაშაულებასო. არასდროს არ ვადანაშაულებ. მე ვამბობ იმას, რაც არის, რაც რეალობაა. ეს ორივე მხარე კი ამ რეალობას გაურბის. ქოცები გაიძახიან, ყველაფერი კარგად არისო, მაშინ როდესაც გადასარევად იციან, რომ არ არის! ნაცებისთვის კი ცა თავზე ჩამოგვექცა და დავიღუპეთ. არც მთლად ასეა საქმე. ეს ორი მხარე სრულიად სხვა რეალობაში ცხოვრობს, საერთო მიზნისკენ სვლა კი არ ხერხდება. დღეს რუსეთმა თავისას მიაღწია ჩვენს ქვეყანაში. სრული გახლეჩა და პოლარიზაციაა. სანამ საზოგადოების გაერთიანებას არ შევძლებთ, არაფერიც არ იქნება.

***– რამდენად არის შანსი, რომ უკრაინის პროცესებმა ჩვენთანაც დააჩქაროს სიტუაციის ცვლილება? თუკი დასავლეთი პოზიციებს გაიმყარებს, საფრთხე ემუქრება ივანიშვილის ხელისუფლებას?***

– თუ რუსეთი დამარცხდება და დამარცხებად მე აღვიქვამ უკრაინის სრულ დეოკუპაციას, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სრულიად შეიცვლება ვითარება ჩვენს რეგიონში. აბსოლუტურად შეიცვლება, თუმცა ჯერჯერობით ამის ნიშნები არ ჩანს. რეალურად ვხედავთ, რომ ამერიკა აგვიანებს იარაღის მიცემას. თუ არ გაძეძგეს იარაღით უკრაინელები, მაშინ იქნება ასეთი გაწელილი და გაჭიანურებული სიტუაცია. ძალიან ბევრი ხალხი დაიხოცება. მიმდინარეობს პოზიციური ბრძოლები და ეს ბრძოლა რუსეთს შეუძლია, წლობით აწარმოოს. მას ძალიან დიდი შეიარაღება აქვს, რომლის გამოყენებაც შეუძლია მშვიდად. უტევენ რაკეტებით, არტილერიით და ანადგურებენ სხვის ქონებას. ამის წინააღმდეგ საჭიროა თანამედროვე და ძლიერი შეიარაღება. ჯერჯერობით ვერ ვხედავ იმ სიტუაციას, რომ სერიოზულად შეიცვალოს ვითარება უკრაინის ფრონტზე.

***– ფიქრობთ, ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდება?***

– დასავლეთის ასეთი დამოკიდებულებით, დიახ, ეს პროცესი გაიწელება, იმიტომ, რომ არც ნავთობის ემბარგოზე მოხდა შეთანხმება, ვერც იარაღის მოწოდება ხდება იმ ოდენობით, რამდენიც უკრაინას სჭირდება. შესაბამისად, ეს სიტუაცია დიდხანს გაგრძელდება. სანამ იქ ასეთი სიტუაცია იქნება, არც „ქართულ ოცნებას“ აქვს რამე სანერვიულო. ოპოზიციურ ამომრჩეველს კი დაღლილობასა და უიმედობას ვამჩნევ, რაც ძალიან ცუდია. გამწვავებისა და შეჯანჯღარების გარეშე პერსპექტივას ვერ ვხედავ. რაღაც უნდა იყოს, რაც გაგვაერთიანებს. ასეთი რამ ჯერჯერობით არ ჩანს. ეს არის ის სტილი, რომელიც პოსტსაარჩევნო წლებს ახასიათებს. დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალი წლიდან აქტიურობა დაიწყება.

# მთავრობის მეთაური 100 წლის ომის ვეტერანს, იოსებ ტუხაშვილს, სახლში ეწვია და ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა



9 მაისთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, 100 წლის იოსებ ტუხაშვილს, სახლში ეწვია. მთავრობის მეთაურმა ომის ვეტერანს ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი მიულოცა და თარიღთან დაკავშირებით საჩუქრები გადასცა. ირაკლი ღარიბაშვილმა იოსებ ტუხაშვილს ჯანმრთელობა და მხნეობა უსურვა.

ომის ვეტერანმა პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ვეტერანების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან არსებული ყურადღება ძალიან დასაფასებელია.

პრემიერთან ერთად, ფაშიზმზე გამარჯვების დღე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელმა კობა კობალაძემ მიულოცა.

– პირველ რიგში მინდა, ჩვენს გმირ ვეტერანებს მივულოცო დღევანდელი დღე, 9 მაისი, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი, მინდა ჩემი დიდი პატივისცემა დავუდასტურო ჩვენს გმირ ვეტერანებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მეორე მსოფლიო ომში.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში განაცხადა, სადაც, მთავრობის წევრებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

მთავრობის მეთაურმა მელიტონ ქანთარიას ბიუსტი გვირგვინით შეამკო, პარკში შეკრებილ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი მიულოცა და მათ მადლობა გადაუხადა.

– მოგეხსენებათ, ქართველებს გვაქვს ძალიან დიდი წვლილი და დამსახურება ამ ომში გამარჯვების. რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მინდა, ქედი მოვიხარო ჩვენი გმირების წინაშე, რომლებმაც თავი გაწირეს მსოფლიოს უკეთესი მომავლისთვის და ჩვენი, ქართველების ძალიან დიდი დამსახურებაა ამ ომში გამარჯვებაში. მინდა, მოგილოცოთ 9 მაისი და ყველას გისურვოთ გამარჯვება და მშვიდობა, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად – 1.000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები 500 ლარს მიიღებენ. შესაბამის განკარგულებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი უკვე მოაწერა.

# გიორგი ბილანიშვილი: „საზეიმო რუსეთს არაფერი აქვს“



ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხთა მკვლევარი გიორგი ბილანიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთს ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღნიშვნის მორალური უფლებაც კი არ აქვს იმ დანაშაულის შემდეგ, რასაც ახლა უკრაინაში სჩადის.

როგორც მან „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ აღნიშნა, პუტინის რეჟიმი ცდილობს, საზოგადოებას აჩვენოს, თითქოს ყველაფერი კარგად არის.

– „საპარადო“ და საზეიმო რუსეთს არაფერი აქვს, მორალურადაც კი არანაირი უფლება არ აქვს, რაიმე იზეიმოს იმ დანაშაულის შემდეგ, რასაც ახლა პუტინის რეჟიმი უკრაინაში სჩადის. რეჟიმი ცდილობს, სიცოცხლე გაიხანგრძლივოს და საკუთარ საზოგადოებას აჩვენოს, რომ კიდევ მაგრად დგას და ყველაფერი კარგად არის. ეს არის 9 მაისის ზეიმის მთლიანი დატვირთვა პუტინის რეჟიმისთვის, დანარჩენი არის მასზე მიწებებული ფაშიზმზე გამარჯვების ზეიმი, რომელიც მართლაც აღინიშნებოდა რუსეთის ფედერაციაში, – განაცხადა ბილანიშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, რუსეთი ჯერ კიდევ არ იქნება თანახმა, რომ ოკუპირებული დონეცკი, ლუგანსკი და ყირიმი დათმოს.

– რუსეთს რაც აქვს ოკუპირებული, ფაქტია, ნებით არ დათმობს. თუ სიტუაცია დაუმძიმდა და უკეთესად გააცნობიერა, რომ მარცხისკენ მიდის, შესაძლოა, მოლაპარაკებების პროცესში რაღაცები დათმოს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი გადმოსახედიდან ჯერ კიდევ არ იქნება რუსეთი თანახმა, დონეცკი, ლუგანსკი და ყირიმი დათმოს. რაც მოცემულობა დღეს არის, ეს ერთია და მეორე, ომი გრძელდება და უკრაინელებს ბევრად უფრო მეტი წარმატება აქვთ, ვიდრე რუსულ მხარეს. ამავდროულად, უკრაინულ მხარეს მიეწოდება სხვადასხვა სახის თანამედროვე შეიარაღება, რომელსაც ბევრი სამხედრო ექსპერტის აზრით, საომარ მოქმედებებში მნიშვნელოვანი გარდატეხის შეტანა შეუძლია, ხოლო რუსებს შეიარაღება ამოწურვადი აქვთ, – განაცხადა ბილანიშვილმა.

მისი თქმით, დასავლეთს კარგად აქვს გაცნობიერებული, რა სიბოროტის ჩადენა შეუძლია პუტინის მილევად რეჟიმს.

– დასავლეთში თითქმის ყველამ გააცნობიერა, რომ რუსეთის რეჟიმი უნდა დამარცხდეს. თუ არ დამარცხდება, მისგან შეიძლება სამწუხაროდ, კიდევ უფრო მასშტაბური საფრთხე წამოვიდეს. მეორე ნაწილის გაცნობიერება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რათა უარესი შედეგი არ მივიღოთ, – განაცხადა ბილანიშვილმა.

მისი განმარტებით, თუ რუსეთში რეჟიმი შეიცვლება, ეს გარკვეულ შესაძლებლობის ფანჯარას გააჩენს საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის, რომ მათ დასავლური ინტეგრაციის გაძლიერება მოახერხონ.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება“

## რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი, ცხადია, პოლიტიკური მიზნებით ჩამოვიდა, მაგრამ ციხეშიც აღმოჩნდა. ახლა ხელისუფლება ცდილობს, ეს სათავისოდ გამოიყენოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ყოველდღიურად კეთდება განცხადება, რომ მძიმდება, თუმცა ხელისუფლება არაფერს არ აკეთებს, რომ საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნას. როგორ ფიქრობთ, რატომ არ ასრულებს ამ პრობლემას ხელისუფლება?***

– პროცესი მთლიანად პოლიტიზებულია, რაც გასაკვირი არ არის. თუ მიხეილ სააკაშვილი მართლაც დამძიმდება და მისი მდგომარეობა არათუ გაუარესდება, ერთი ღერი თმაც რომ ჩამოუვარდეს, ეს სერიოზული პრობლემა იქნება ხელისუფლებისთვის. ამიტომ ხელისუფლება დაინტერესებული უნდა იყოს მისი ჯანმრთელობით.

თუ გადავხედავთ წინარე ისტორიას, როდესაც სააკაშვილი უკრაინაში იმყოფებოდა, „ქართული ოცნება“ დიდად არ იტკივებდა თავს მისი ჩამოყვანითა და ციხეში ჩასმით. დამოკიდებულება ასეთი იყო – ნუ შეგვეხები და არ შეგეხებით. ყოველ შემთხვევაში, ეს იგრძნობოდა, მაგრამ მერე მოვლენები სრულიად სხვაგვარად განვითარდა. სააკაშვილი ჩამოვიდა, ცხადია, პოლიტიკური მიზნებით, მაგრამ ციხეშიც აღმოჩნდა. ახლა, როგორც ჩანს, ხელისუფლება ცდილობს, ეს სათავისოდ გამოიყენოს. ის ამბობს, თუ დამძიმდება, აუცილებლად გადავიყვან და ვუმკურნალებ, მანამდე კი იქნება ციხეში, როგორც ბრალდებულიო.

***– თუმცა სახალხო დამცველის მიერ შექმნილი კონსილიუმის დასკვნა მძიმედ აფასებს მდგომარეობას, რომ მას აქვს ანორექსია, რომ დეპრესიულია, არ იღებს წამლებს. უშვებთ, რომ ხელისუფლებას არ ადარდებს სააკაშვილის ჯანმრთელობა?***

– სააკაშვილის ჯანმრთელობაზე თავიდან ბოლომდე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. ლოგიკურადაც ვერ ვუშვებ, რომ რამეში აწყობდეს „ქართულ ოცნებას“ აუტკივარი თავის ატკივება. პირველი ბრალდებული ხომ ხელისუფლება იქნება! ამიტომ მიჭირს ამის დაშვება. რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ ექიმთა კონსილიუმს, სააკაშვილს ექიმებში ბევრი მომხრე ჰყავს და ასეთი მომხრეები ჰყავს მას ამ კონსილიუმშიც. არ ვარ დარწმუნებული, რომ სწორი დიაგნოზია დასმული. შეიძლება, ის ექიმები ობიექტურებიც არიან და მაღალი დონის პროფესიონალებიც, მაგრამ, იცით, როგორი შემთხვევაა? საკუთარ ოჯახის წევრს რომ ვერ გაუკეთებ ოპერაციას, ღრმად სუბიექტური ფაქტორიდან გამომდინარე. ამიტომ შეიძლება ობიექტურად ვერ აფასებენ რეალობას.

***– ამ შემთხვევაში რამდენად იქნებოდა საერთაშორისო კონსილიუმის მოწვევა გამოსავალი?***

– რა თქმა უნდა, სწორედ საერთაშორისო კონსილიუმმა უნდა შეაფასოს მდგომარეობა ობიექტურადაც და ასევე უნდა თქვას, არის თუ არა საჭირო უცხოეთში გადაყვანა.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ არ აკეთებს ამას ხელისუფლება?***

– მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა,



რადგან ჩემთვის გაუგებარია, რატომ აძლევს ამდენ სალაპარაკოს ხელისუფლება ქვეყნის შიგნით თუ გარეთ.

***– გრიგოლ ვაშაძემ გამოიტანა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი ნანობს საქართველოში ჩამოსვლას. ეს გავლენას იქონიებს მის რეიტინგზე?***

– ერთ-ერთი ბოლო სოციოლოგიური კვლევებით ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი მკვეთრად არის დაცემული. მე არ გამოვრიცხავ, რომ მთელი ეს პროცესები ამის გამოძახილი იყოს. პირად რეიტინგს რაც შეეხება, არ გაზომილა, მაგრამ, სავარაუდოა, რომ მკვეთრად უარყოფითი გავლენა ექნება.

***– რამდენად შეეძლო მიხეილ სააკაშვილს, ციხე ერთგვარ კათარზისად ექცია და იქიდან ბევრად უფრო გაძლიერებული გამოსულიყო, როგორც პოლიტიკოსი?***

– ციხე ბევრი პოლიტიკოსისთვის ძალიან ბევრჯერ და ალბათ, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ასეთი ადგილი იყო, რასაც ვერ ვიტყვი სააკაშვილის შემთხვევაში. პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ ის ფსიქოლოგიურად არ აღმოჩნდა ციხისთვის მზად. მას შეეძლო, სრულიად პირიქით დაეტრიალებინა სიტუაცია, ციხისთვის პოლიტიკური დატვირთვა მიეცა. კი არ ეწუწუნა, არამედ თუნდაც წარსული გადაეფასებინა და ნელსონ მანდელასავით გაძლიერებული გამოსულიყო იქიდან, შეეძლო, ციხე პოლიტიკურ ტრიბუნად ექცია. სააკაშვილმა პოლიტიკური ცხოვრება ვერ გააგრძელა და ამაში მას ხელი დიდად მისმა გარემოცვამ შეუწყო. ახლა დათვურ სამსახურს უწევს სწორედ გარემოცვა, როდესაც აქცენტს მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე აკეთებს.

***– თითქოს პროცესები ნაციონალურ მოძრაობაშიც აჭრილია. პარტია რამდენად ადეკვატურია?***

– სოციოლოგიური კვლევები ვახსენე. რეიტინგის ასეთი კლება შემთხვევით არ ხდება. თუ ასე გააგრძელებენ, რეიტინგის კლების პროცესი გარდაუვლად გაგრძელდება. ეს ძალიან ცუდია ქვეყნისთვის და ძალიან ცუდია მმართველი პარტიისთვისაც. როდესაც ოპონენტი სუსტდება, შენც დუნდები და სპორტულ ფორმას კარგავ, როგორც იტყვიან. კობახიძემ თქვა, მეორე პარტიის სტატუსს მალე დაკარგავენო. ღმერთმა დაგვიფაროს, ერთპარტიული ქვეყანა გავხდეთ, მაგრამ, თუ ოპოზიციურ ფლანგზე ასე გააგრძელებენ, ამომრჩეველი საერთოდ ჩაიქნევს მათზე ხელს. სამწუხაროა, რომ მთლიანად პოლიტიკური პროცესის ინტელექტუალიზაცია ვერ ხდება. ეს ძალიან ცუდ სამსახურს გაუწევს ქვეყანას.

# შალვა პაპუაშვილი: „ვინმეს ეჭვი გეპარებათ ნინო წილოსანის პატრიოტიზმში?“



ვინმეს ეჭვი გეპარებათ ნინო წილოსანის პატრიოტიზმში? ვის ეპარება ეჭვი? – იმ ხალხს, რომლებმაც ნაციონალური მოძრაობიდან საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვეს? თუ იმ მედიის წარმომადგენლებს ეპარებათ ეჭვი, რომლებიც ომის მიმდინარეობის პერიოდში დეზინფორმაციის გავრცელებით არიან დაკავებული?

ასე უპასუხა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა მედიის წარმომადგენლების კითხვას უმრავლესობის დეპუტატის, ნინო წილოსანის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, რუსეთისგან, „თუ არ ჩავთვლით ძირითად ტრაგედიას, ოკუპაციას, ნამდვილად არ ახსენდება ისეთი შეურაცხყოფა, რომელიც უკრაინის რიგი მაღალჩინოსნების მხრიდან მოგვადგა“.

როგორც პაპუაშვილი აცხადებს, ასეთი პროპაგანდისტული კამპანიის მიზანია იმის წარმოჩენა, თითქოს საქართველოს ხელისუფლება პატრიოტული ხელისუფლება არ არის.

– სინამდვილეში, ჩვენ ვხედავთ პროპაგანდას, ისტერიას, რომლის ერთადერთი ინტერესი არის წარმოაჩინონ, თითქოს „ქართული ოცნება“ არის რუსული პროექტი. ეს არის კინო, რომელსაც 10 წელია ვუყურებთ.

ამ კინოს ჰქვია „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც ხალხმა წაართვა ძალაუფლება და უნდა ეს ძალაუფლება დაიბრუნოს. 10 წელია სხვა არაფერი აქვთ სალაპარაკო გარდა იმისა, თითქოს „ქართული ოცნება“ არის რუსული პროექტი. ვერაფერს ამ კუთხით ვერ ამბობენ და ამას ცდილობენ, რაღაცნაირად, ფრაზების ამოჭრით. ვინმეს ეჭვი გეპარებათ ნინო წილოსანის პატრიოტიზმში? ვის ეპარება ეჭვი? – იმ ხალხს, რომლებმაც ნაციონალური მოძრაობიდან საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვეს? იმათ ეპარებათ ეჭვი ნინო წილოსანის პატრიოტიზმში? თუ იმ მედიის წარმომადგენლებს ეპარებათ ეჭვი, რომლებიც ომის მიმდინარეობის პერიოდში კი დეზინფორმაციის გავრცელებით არიან დაკავებული?

ეს არის სწორედ სამარცხვინო. მანიპულაცია სწორედ იმაში გამოიხატება, რომ არის მცდელობა კონტექსტიდან ამოგლეჯით და ადამიანების სიტყვებზე გამოჭერით. ეს იყო კონტექსტიდან ამოგლეჯილი მანიპულაცია. სხვა არაფერია პროპაგანდა. ასეთი პროპაგანდისტული კამპანიის მიზანია იმის წარმოჩენა, რომ საქართველოს ხელისუფლება თითქოს არ არის პატრიოტული ხელისუფლება. არადა, თვითონ ეს ტელევიზიები იქცევიან არაპატრიოტულად, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ცნობისთვის, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ნინო წილოსანმა განაცხადა, რომ რუსეთისგან, „თუ არ ჩავთვლით ძირითად ტრაგედიას, ოკუპაციას“, ნამდვილად არ ახსენდება „ისეთი შეურაცხყოფა, როგორიც უკრაინის რიგი მაღალჩინოსნების მხრიდან მოგვადგა“. „მე არ მახსენდება ისეთი შეურაცხმყოფელი ფაქტები ჩვენი ქვეყნის მიმართ, თუ არ ჩავთვლით ძირითად ტრაგედიას, რაც ოკუპაციაა, ამის შემდეგ ნამდვილად არ მახსენდება ისეთი შეურაცხყოფა, როგორიც ამ შემთხვევაში უკრაინის რიგი მაღალჩინოსნების მხრიდან მოგვადგა“, – განაცხადა წილოსანმა, როდესაც უპასუხა „დროების“ ჟურნალისტის კითხვას, თუ ახსენდება შემთხვევა, როცა „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა პუტინის მისამართით გამოიყენეს სიტყვა – „ვიგინდარა“ ან „სამარცხვინო არსება“.

# დიდი ბრიტანეთის ელჩი: „არ გვაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობა რუსეთს სანქციების თავიდან აცილებაში ეხმარება“



– პირდაპირ პასუხს გაგცემთ: არა, არ გვაქვს.

ასე პასუხობს დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი „ინტერპრესნიუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში კითხვას, აქვს თუ არა დიდი ბრიტანეთის დაზვერვას უკრაინის სადაზვერვო სამსახურის მსგავსი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა რუსეთს სანქციების თავიდან აცილებაში ეხმარება.

ელჩის შეფასებით, საქართველო თავის როლს ასრულებს სანქციების უპრეცედენტო პაკეტის დაცვაში, რომელიც დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ აამოქმედა.

– პირდაპირ პასუხს გაგცემთ – არა, არ გვაქვს. რა თქმა უნდა, რის გაკეთებასაც დიდი ბრიტანეთი, „დიდი შვიდეულის“, ევროკავშირის, ნატოს მოკავშირეებთან და სხვა პარტნიორებთან ერთად ცდილობს, არის რუსეთისთვის მაქსიმალური საფასურის დაწესება და პუტინის სამხედრო შესაძლებლობებისთვის მათთვის საჭირო დაფინანსების წყაროების ჩამორთმევა ამ უკანონო ომის საწარმოებლად.

კონფლიქტის დაწყების შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა რუსული ბანკებიდან 900 მილიარდ ფუნტზე მეტი აქტივები გაყინა. ჩვენ ვიმუშავეთ სხვებთან ერთად, რათა ისინი სვიფტის საერთაშორისო საბანკო სისტემიდან გამოგვერიცხა. ჩვენ გავყინეთ 260.000.000 ფუნტ სტერლინგზე მეტი უცხოური ვალუტის რეზერვი. გარდა ამისა, ჩვენ დავაწესეთ სანქციები 1.600-ზე მეტ პირის წინააღმდეგ და შევზღუდეთ რუსეთთან ვაჭრობა კონკრეტულ სექტორებში.

ეს ყველაფერი გამიზნულია ამ არაპროვოცირებული შეჭრის საფასურის დაწესებისა და პუტინის ომის მანქანისთვის სახსრების ჩამორთმევის მიზნით.

საქართველო თავის როლს ასრულებს ამ პაკეტში. მე გავეცანი მედიაში გავრცელებულ ინფორმაციასა და სპეკულაციებს ამის შესახებ, მაგრამ ასევე ყურადღებას გავამახვილებ ფინანსთა მინისტრის განცხადებაზე. რაც ვნახე, საქართველოს ეროვნული ბანკი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველო არ იყოს გამოყენებული, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ფინანსური სანქციების თავიდან აცილების ადგილად. ჩვენ ვნახეთ მართლაც სწრაფი ქმედება.

მაგალითად, ვითიბი ბანკი, სანქციების შესაბამისად, რამდენიმე დღეში დაიხურა. საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი ლონდონის საფონდო ბირჟაზე არიან წარმოდგენილნი და ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ფინანსური სანქციები უზრუნველყონ. და ბოლოს, როდესაც საქმე ეხება ვაჭრობასა და სანქცირებული საქონლის შეზღუდვებს, ვიცი, რომ ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტროსთან და თქვენს საბაჟო სამსახურთან ერთად, მუშაობს იმისთვის, რომ არ იყოს გაჟონვა და ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმაც განაცხადა.

ასე რომ, ვფიქრობ, ჩემი პასუხი არის ის, რომ არსებობს სანქციების უპრეცედენტო პაკეტი და გაერთიანებული სამეფო გააგრძელებს ჩვენს მოკავშირეებთან და პარტნიორებთან ერთად ამ ომისთვის პუტინისთვის უპრეცედენტო ხარჯების დაკისრებას.

როგორც ვხედავ, საქართველო თავის როლს ასრულებს ამის დაცვაში და რა თქმა უნდა, ჩვენი იმედია, რომ საქართველოს მთავრობა გააგრძელებს ყველაფერს, რაც შეუძლია, რათა საქართველო არ გახდეს სანქციებისგან თავის არიდების ადგილი, – აცხადებს საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩი მარკ კლეიტონი.

# „ჩვენი ერთადერთი გზა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა“

ღრმად მწამს, რომ ჩვენი არაჩვეულებრივი ქვეყნის ისტორიის, კულტურის, თვითმყოფადობის შენარჩუნების საუკეთესო და, მე ვიტყოდი, ერთადერთი გზა სწორედ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე კახა კუჭავა სოციალურ ქსელში წერს. კახა კუჭავა მადლობა უხდის ევროპელ მეგობრებს, ქვეყნის წინსვლისა და გაძლიერების გზაზე გაწეული ფასდაუდებელი დახმარებისთვის.

„ეს არის ქართველი ხალხის ისტორიული, მტკიცე არჩევანი და ამ გზაზე აუცილებლად ვივლით წინ! სწორედ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობა არის ის, რისკენაც საქართველო, უკრაინა და მოლდოვა მიისწრაფვიან და მე მჯერა, ჩვენ ერთად ამ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ!

მინდა, კიდევ ერთხელ განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ევროპელ მეგობრებს, რომელთა თანადგომა და დახმარება ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და გაძლიერების გზაზე ფასდაუდებელია. ერთად უფრო ძლიერები ვართ. გილოცავთ ევროპის დღეს“, – წერს კახა კუჭავა.

# ცხინვალის საპრეზიდენტო არჩევნებში ალან გაგლოევმა ანატოლი ბიბილოვს მოუგო

– სიამაყის გრძნობა მაქვს იმის გამო, რომ ხალხმა გამოხატა თავისი აზრი და ანატოლი ილიჩმა აღიარა არჩევნების შედეგები. მინდა, მადლობა გადავუხადო ხალხს მხარდაჭერისა და ნდობისთვის.

ამის შესახებ ალან გაგლოევმა განაცხადა, რომელიც ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნებში“ ლიდერობს.

– ჩვენ შევქმნით ახალ გუნდს, – აღნიშნა გაგლოევმა.

ცნობისათვის, 8 მაისს ოკუპირებულ ცხინვალში ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნების“ მეორე ტური გაიმართა. ე.წ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბოლო მონაცემებით, დათვლილია ხმების 85%-ზე მეტი და ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნებში“ ხმების 53.67%-ით ალან გაგლოევი ლიდერობს, ე.წ. „მოქმედ პრეზიდენტს“, ანატოლი ბიბილოვს კი „ამომრჩევლების“ 41.3%-მა დაუჭირა მხარი.

# გადარჩეული ბიბილოვი ისევ ცხინვალის რეგიონის რუსეთთან შეერთებას იჩემებს

მარიამ მჭედლიშვილი

## „აფხაზებთან ერთად ნეონაცისტებს ვებრძვით“

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის მიერ ოკუპირებულ და აღიარებულ ცხინვალის რეგიონში დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ფაქტობრივი მოქმედი პრეზიდენტის, ანატოლი ბიბილოვის დამარცხებით დამთავრდა. იგი შეცვალა პოლიტიკური გაერთიანება „ნიხასის“ თავმჯდომარემ, ადგილობრივი უშიშროების სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა ალან გაგლოევმა.

არჩევნების შედეგს, ისევე, როგორც სხვა არჩევნების შედეგებს, არ აღიარებს საერთაშორისო საზოგადოება და თბილისი. ფაქტობრივი არჩევნების მეორე ტური, ოკუპირებული ტერიტორიის გარდა, გაიმართა მოსკოვში, სოხუმსა და ვლადიკავკაზში.

ბიბილოვმა მარცხი აღიარა. უკვე გადარჩეულმა ბიბილოვმა ჟურნალისტებთან კიდევ ერთხელ გაახმიანა წინასაარჩევნოდ ინტენსიურად გააქტიურებული იდეა რუსეთთან მიერთების შესახებ.

– რეფერენდუმი რუსეთთან შეერთების თაობაზე იქნება. სარეფერენდუმო დოკუმენტები ცესკოში წარდგენილია. ცესკო მასალებს განიხილავს და უზენაეს სასამართლოს გადასცემს, – გამოაცხადა ბიბილოვმა.



ბიბილოვის მემკვიდრე გაგლოევმა მადლიერება გამოხატა და საზოგადოებით იამაყა:

– განვიცდი სიამაყეს, რადგან ხალხმა გამოხატა თავისი აზრი იმით, რომ ანატოლი ილიჩმა აღიარა არჩევნები. მინდა მადლობა გამოვუცხადო ხალხს მხარდაჭერისა და ნდობისათვის.

შეგახსენებთ, რომ გაგლოევი რეგიონის რუსეთთან შეერთების მომხრეა, მაგრამ მიიჩნევს, რომ პროცესის დაჩქარება მიზანშეწონილი არ არის. საკითხი უნდა მომწიფდეს.

**ალან გაგლოევი:**

– ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ცალმხრივად არ მიიღება. მთავარი ფაქტორი აქ არის რუსეთის ფედერაციის მზაობა, აიღოს ასეთი პასუხისმგებლობა. ჩასატარებელია წინასწარი სამუშაო, მისაღწევია შეთანხმება. ყოველი ნაბიჯი უნდა უთანხმდებოდეს სტრატეგიული პარტნიორის პოზიციას, რათა არ გართულდეს ისედაც მძიმე გეოპოლიტიკური სიტუაცია. არსებობს ჩვენი ხალხის მისწრაფება ჩრდილოელ ძმებთან შეერთებაზე რუსეთის შემადგენლობაში. სამხრეთ ოსეთის უმაღლესმა საბჭომ 1991 წლის სექტემბერში და მოქალაქეებმა 1992 წლის რეფერენდუმზე ხმა მისცეს რუსეთთან მიერთებას. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით რეფერენდუმი უზადოდ ჩატარდა. საქართველო მაშინ არ იყო გაეროს წევრი, საერთაშორისოდ აღიარებული ქვეყანა. ამ დოკუმენტების საფუძველზე რუსეთმა აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა. ამ დოკუმენტებს აქვთ ძალა შეერთებისათვის. თუ საჭიროა კიდევ ერთი რეფერენდუმი, მას ჩაატარებს ნებისმიერი არჩეული პრეზიდენტი.

ასეთია გაგლოევის პოზიცია. მთავარია, რა მოჰყვება რეფერენდუმს, რომელიც, სავარაუდოდ, გაიმართება საქართველოს ამ კუთხეში.

– კეთილი იყოს მობრძანება სანქციებში, – ასე ეხმაურება დამარცხებული ბიბილოვის ბოლო განცხადებას ერთ-ერთი მომხმარებელი.

უკრაინაში შეჭრილი რუსეთისთვის სანქციები ერთადერთი პრობლემა არ იქნება. ამ სიტუაციაში რუსეთს თავზე საყრელი საფიქრალი უჩნდება და ცხინვალის ანექსია კრემლისათვის პრიორიტეტული არ უნდა იყოს. ოკუპირებული ეს ტერიტორია ამ ეტაპზე ისედაც არის.

ცხინვალისა და აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონების დე ფაქტო ხელმძღვანელები არ უშვებენ ხელიდან შემთხვევას, რომ არ გამოხატონ თავიანთი მხურვალე მხარდაჭერა აგრესორი რუსეთის მიმართ.

ასეთი შანსი ბიბილოვმა ცხინვალში ე.წ. არჩევნების დასაკვირვებლად ჩასულ აფხაზეთის დელეგაციასთან შეხვედრაზეც გამოხატა.

– რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილება სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩატარების თაობაზე ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. ჩვენ, მოძმე რესპუბლიკები, გავერთიანდით და ვიბრძვით ნეონაციზმის წინააღმდეგ. დარწმუნებული ვარ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, – აღნიშნა ბიბილოვმა.

წინასაარჩევნოდ ბიბილოვის მთავარი სლოგანი რუსეთთან შეერთების დაჩქარება იყო. გაგლოევი სისწრაფეს არ მიესალმება. ხალხმა გაგლოევი არჩია. ეტყობა, ამ საკითხში საზოგადოება გაგლოევის პოზიციას იზიარებს, მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიასთან შერწყმაზე უკვე ბიბილოვიც აღარ საუბრობს. ამას სხვა პროცედურები სჭირდება.

# არჩილ იაკობაშვილი: „რუსეთს ომის წარმოება ყოველდღიურად 800-900 მილიონი დოლარი უჯდება“



რუსეთმა ომი ფაქტობრივად რუსეთის კეთილდღეობის ფონდიდან დააფინანსა. 800-900 მილიონი დოლარი უჯდებათ ყოველდღიურად ომის წარმოება.

ამის შესახებ ეკონომიკის ექსპერტმა არჩილ იაკობაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ განაცხადა.

არჩილ იაკობაშვილის განცხადებით, სანქციების მოკლევადიანი ეფექტია, რომ აპრილში რუსეთში 20%-იანი ინფლაცია დაფიქსირდა, სავალუტო რეზერვები კი 10%-მდე აქვთ შემცირებული.

წამყვანის კითხვაზე, რამდენად დააზიანებს სანქციების დაწესება თავად სანქციებში მონაწილე ქვეყნებს, იაკობაშვილის განმარტებით, მათ თავიანთი ბაზრის სტრუქტურის ცვლილება მოუწევთ, რაც შემდგომში ფასებზეც აისახება.

– სანქციები კომპლექსური ფენომენია. დასავლეთს სანქციების სხვადასხვა ეტაპზე უწევს გადასვლა, ჩნდება ხვრელები და ცდილობენ ამის ამოვსებას. სანქციების მოკლევადიანი ეფექტია, რომ აპრილში რუსეთში 20%-იანი ინფლაცია დაფიქსირდა, სავალუტო რეზერვები 10%-მდე აქვთ შემცირებული, კეთილდღეობის ფონდის მეოთხედი გაიხარჯა მარტსა და აპრილში, ფაქტობრივად, ომი დააფინანსეს ამ კეთილდღეობის ფონდიდან. 800-900 მილიონი დოლარი უჯდება დღიურად რუსეთს ომის წარმოება. მთავარი მაინც რჩება ენერგორესურსების წინააღმდეგ სანქციები, რომელიც აშშ-მ დააწესა, ევროკავშირმა კი დააანონსა, აქვთ იმედი, რომ ეს წლის ბოლოსთვის ამოქმედდება.

სანქციების მონაწილე ქვეყნებს მოუწევთ თავიანთი ბაზრის სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა. როდესაც ბაზრის სტრუქტურის ცვლილება ხდება, ეს ფასზეც აისახება, რაც ვნახეთ საქართველოშიც. პოლონეთში, უნგრეთშიც, ჩეხეთშიც და მსგავს ქვეყნებში ეშინიათ, რომ ფასები მოიმატებს მნიშვნელოვნად, არა იმის, რომ პროდუქტები დეფიციტური გახდება. გერმანიის და ავსტრია საკუთარი პროდუქციით სრულიად დაფარავენ ამ სამ ქვეყანას, უბრალოდ, ეს გაძვირებას გამოიწვევს, – აღნიშნა არჩილ იაკობაშვილმა.

# 2023 წლის 1-ელი მარტიდან შიდა ტრანზიტის მომსახურება შეიცვლება

2023 წლის 1-ელი მარტიდან შიდა ტრანზიტის მომსახურებაც შეიცვლება. მოქმედი კანონის მიხედვით, შიდა ტრანზიტი ჯამში 90 დღით გაიცემა, რომლის დღიური საფასური ერთი ლარია. კანონში დაგეგმილი ცვლილებებით კი, შიდა ტრანზიტის 90 დღის ვადით გაცემისთვის განისაზღვრება ერთიანი საფასური 50 ლარის ოდენობით. ამასთან, უქმდება შიდა ტრანზიტის ვადის გადაცილებისათვის დღეების მიხედვით დადგენილი სანქცია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 5 ლარის ოდენობით და დაკარგული ნომრის აღდგენის 30-ლარიანი საფასური.

გარდა ამისა, მცირდება შიდა ტრანზიტისთვის დადგენილი საფასური. შიდა ტრანზიტის გაცემასთან დაკავშირებით ახალი პირობების დადგენის უფლებამოსილება შინაგან საქმეთა მინისტრს ექნება.

# რა თანხა შევიდა ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან

2022 წლის იანვარ-მარტში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზარტული თამაშებიდან ბიუჯეტში შესული თანხა გაიზარდა.

კერძოდ, როგორც საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში (კონსოლიდაციის გარეშე) ვკითხულობთ, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი მიმდინარე წლის იანვარ-მარტში 23.607.802 ლარს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი 6.452.669 ლარს შეადგენდა.

ამასთან, 2022 წლის პირველ სამ თვეში ბიუჯეტში სათამაშო აპარატებიდან 11.744.667 ლარი შევიდა, წამახალისებელი გათამაშებიდან – 1.963.802 ლარი; სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან (ონლაინკაზინოები) – 3.040.181 ლარი, სამორინეს მაგიდიდან – 6.521.100 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი კი 6.859.151 ლარი იყო.

ცნობისთვის, ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2020 წლის იანვარ-მარტში სათამაშო ბიზნესიდან ბიუჯეტში 6.727.038 ლარი შევიდა (შეგახსენებთ, ობიექტები დახურული იყო), პანდემიამდელ 2019 წლის იანვარ-მარტში კი – 31.558.384 ლარი.

# როგორ აისახება კლიმატზე რუსეთ-უკრაინის ომი

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, კლიმატური ცვლილებებისა და ეკოლოგიის პრობლემებმა, რომლებიც კაცობრიობის წინაშე ისედაც საკმაოდ მწვავედ იდგა, როგორც ჩანს, მეორე პლანზე გადაინაცვლა. თუმცა, მიმდინარე მოვლენების გამო, პროცესები, რომლის გამოც კლიმატური სამიტები იმართებოდა, როგორც ჩანს, დაჩქარდა. რა ელის გარემოს და რამდენად გრძელვადიანია ეს ყველაფერი.

შეიარაღებულ კონფლიქტებს ეკოლოგიისთვის დიდი ზიანი მოაქვთ – ფლორა და ფაუნა ნადგურდება ხანძრების, დაბინძურებული წყლისა და ტოქსიკური გაზის გამო.

ამ თემაზე ბევრი ფართომასშტაბიანი კვლევა არ არსებობს, თუმცა 2018 წელს, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სწორედ შეიარაღებული კონფლიქტებია კავშირში აფრიკის დაცულ ტერიტორიებზე ველური ბუნების შემცირებასთან. მკვლევარებმა დაადასტურეს, რომ ცხოველთა პოპულაცია სტაბილური იყო მშვიდობის დროს და შემცირდა ომის დროს.

საომარი მოქმედებების დროს ჯარისკაცები თხრიან ორმოებს, ბომბები ანადგურებენ ლანდშაფტს, აფეთქებები კი იწვევს ხანძარს. იარაღი ჰაერში ათავისუფლებს ტოქსიკურ გაზებს და ნაწილაკებს, ხოლო მძიმე ლითონები ნიადაგსა და წყალში გამოიყოფა. ეს ყველაფერი აზიანებს ეკოლოგიას და იწვევს ბიომრავალფეროვნების შემცირებას.

„გარემო არის კონფლიქტის ჩუმი მსხვერპლი“, – განუცხადა The New York Times-ს არაკომერციული კონფლიქტისა და გარემოს ობსერვატორიის კვლევისა და პოლიტიკის დირექტორმა დაგ უეირმა.

უკრაინის ტერიტორია სავსეა ქიმიური ქარხნებითა და საწყობებით, ნავთობის საცავებით, ქვანახშირის მაღაროებით, გაზსადენებით და სხვა სამრეწველო ობიექტებით, რომლებსაც შეუძლიათ დიდი რაოდენობით დამაბინძურებლების გამოყოფა დაზიანების შემთხვევაში. ზოგიერთმა მათგანმა, როგორიცაა აზოვსტალის ქარხანა, უკვე გამოუშვეს ათასობით კუბური მეტრი გაზი და სხვა საშიში ნივთიერებები ჰაერში, – წერს New York Times.

უკრაინის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე ალექსანდრე კრასნოლუცკი აცხადებს, რომ საომარმა მოქმედებებმა ატომურ ელექტროსადგურებთან შეიძლება გამოიწვიოს ფართომასშტაბიანი რადიოაქტიური დაბინძურება. უკრაინის ტერიტორიაზე ოთხ ელექტროსადგურზე 15 ატომური რეაქტორია. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ (IAEA) „სპეციალური ოპერაციის“ დაწყებისთანავე გააფრთხილა, რომ საომარი მოქმედებები საფრთხეს უქმნის უკრაინის ტერიტორიაზე ბირთვული რეაქტორების მუშაობას. როდესაც მარტის დასაწყისში ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე ხანძარი გაჩნდა, არა მხოლოდ ატომური ელექტროსადგურის წარმომადგენლები შეშფოთდნენ, არამედ ჯო ბაიდენმა დაურეკა ვლადიმერ ზელენსკის და სასწრაფო კონსულტაციები გამართა ბირთვული უსაფრთხოების ექსპერტებთან.



გარდა ამისა, არსებობს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე 465 ნარჩენებთან (რადიოაქტიური და ტოქსიკური ნარჩენების შესანახი ობიექტები), – წერს VoxEurop. გარე გავლენის ან არასწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, იქ შეიძლება მოხდეს გაჟონვა, რაც გამოიწვევს მდინარეების დნეპრისა და დნესტრის დაბინძურებას.

უკრაინისა და მეზობელი ქვეყნების ატმოსფეროს, ნიადაგისა და მდინარეების გაწმენდას დამაბინძურებლებისგან შეიძლება წლები დასჭირდეს. ამავდროულად, მავნე გამონაბოლქვი ზრდის კიბოსა და რესპირატორული დაავადებების განვითარების რისკს რეგიონების მცხოვრებთათვის, ასევე იწვევს ბავშვებში განვითარების შეფერხებას.

დღევანდელი ვითარების ერთ-ერთი უარყოფითი შედეგია ქვანახშირის ენერგიაზე დაბრუნება, რომლის სრული მიტოვებაც 2040-იან წლებში იგეგმებოდა. დევიდ უოლას-უელსი, გარემოსდამცველი და ჟურნალისტი თვლის, რომ ახლა თითქმის შეუძლებელია პარიზის კლიმატის შეთანხმებით გამოცხადებული შედეგების დროულად მიღწევა. მას მიაჩნია, რომ ევროპული ქვეყნები რუსულ გაზს ენერგიის სხვა წყაროებით ჩაანაცვლებენ, მაგრამ მოკლევადიან პერსპექტივაში შესაძლოა უფრო ჭუჭყიან წყაროებს მიმართონ არსებული უფსკრულის დასაფარად.

ამ დროისთვის, სანდო ინფორმაციისა და მონაცემების არარსებობის პირობებში, რთულია რაიმე პროგნოზის გაკეთება იმის შესახებ, თუ რამდენად სწრაფად აღდგება უკრაინისა და მასთან ყველაზე ახლოს მყოფი ქვეყნების ეკოლოგია. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წყლის პრობლემების ინსტიტუტის ეკოლოგი და მკვლევარი არტემ აკშინცევი ამბობს, რომ სანამ ბრძოლები გრძელდება, სამწუხაროდ, არ არის საჭირო რაიმე ადეკვატურ შეფასებაზე საუბარი შედეგებისა და აღდგენის დროზე. თუმცა, ექსპერტი განმარტავს, რომ ტერიტორიების აღდგენისთვის უკვე შესაძლებელია ნაბიჯების გადადგმა: „ერთადერთი, რაც შეიძლება გაკეთდეს, არის საომარი მოქმედებების საზღვრებზე გარემოსდაცვითი პუნქტების, მათ შორის გარემოს მონიტორინგის საველე ლაბორატორიების ქსელის აღჭურვა“.

# სააკაშვილი არსად გაუყვანიათ. იგი რუსთავის მე-12 დაწესებულებაშია

იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე აცხადებს, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „არსად გაუყვანიათ და იგი რუსთავის მე-12 პენიტენციარულ დაწესებულებაშია“.

რატი ბრეგაძის შეფასებით, „პოლიტიკური მიზნებისთვის ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ მცდარი საზოგადოებრივი წარმოდგენების შექმნის მცდელობა სხვა არაფერია, თუ არა მავნებლობა“.

„მრავალჯერ ვთხოვეთ პოლიტიკურად ანგაჟირებულ სუბიექტებს დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებისგან თავშეკავება.

პოლიტიკური მიზნებისთვის ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ მცდარი საზოგადოებრივი წარმოდგენების შექმნის მცდელობა სხვა არაფერია, თუ არა მავნებლობა.

სააკაშვილი არსად გაუყვანიათ, იგი რუსთავის მე-12 პენიტენციარულ დაწესებულებაშია.

ყალბი ინფორმაციით პოლიტიკური ქულების დაწერის მცდელობა პოლიტიკური მაროდიორობაა“, – დაწერა მინისტრმა რატი ბრეგაძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.

ინფორმაციისთვის, მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსთავის ციხე სასწრაფო დახმარების ჯგუფმა დატოვა, რომელმაც შესაძლოა მიხეილ სააკაშვილი კლინიკაში გადაიყვანა, ერთ-ერთ დაწესებულებად კი რესპუბლიკური საავადმყოფო სახელდებოდა.

რუსთავის მე-12 პენიტენციარული დაწესებულებიდან ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას სპეციალური პენიტენციარული სამსახური არ ადასტურებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში განუცხადეს, სასწრაფო დახმარება სხვა პატიმარს სხვა დაწესებულებაში დასჭირდა.



გარდა ამისა, „ინტერპრესნიუსთან“ ყოფილი პრეზიდენტის ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს.

არ ადასტურებენ გავრცელებულ ინფორმაციას რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც.

8 მაისს სპეციალურმა პენიტენციარულმა სამსახურმა საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროების შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილს ყველა აუცილებელი გამოკვლევა ჩაუტარდება და მიეწოდება შესაბამისი მკურნალობა დაწესებულების ფარგლებს გარეთაც საქართველოში.

მათივე ცნობით, მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი იმყოფება სპეციალური პენიტენციარული სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ექიმების 24-საათიანი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ, ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევები და სათანადო სამედიცინო შემოწმება შესაბამისი პროფილის ექიმების მიერ და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არის სტაბილური.

8 მაისს მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსთავის ციხე სასწრაფო დახმარების ჯგუფმა დატოვა, რომელმაც შესაძლოა მიხეილ სააკაშვილი კლინიკაში გადაიყვანა, ერთ-ერთ დაწესებულებად კი რესპუბლიკური საავადმყოფო სახელდებოდა.

# კრედიტ სუისი ივანიშვილს 600 მილიონს არ უხდის

ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე თვის წინ შვეიცარიულ ბანკს 600 მლნ დოლარიანი სასამართლო დავა მოუგო და ზარალის ანაზღაურება მიაღწია, თუმცა ირკვევა, რომ უკრაინაში ომის დაწყებიდან მოყოლებული, მსოფლიო საბანკო გიგანტი ოლიგარქს ფულს აღარ უხდის.



რა შეიძლება იყოს ამისი მიზეზი – ეს ყველაზე კარგად ივანიშვილის ოფისის მიერ გავრცელებულ პასუხში იკითხება.

როგორც ჩანს, კრედიტ სუისში საერთოდ არ გამორიცხავენ, რომ ხვალ ქართველი მილიარდერი შესაძლოა სანქცირებულ ბიზნესმენთა სიაში მოხვდეს.

არანაკლებ მოულოდნელია ივანიშვილის რეაქცია, რომელიც ახლა „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ აანონსებს შვეიცარიული ბანკების წინააღმდეგ. იმ საბანკო სისტემის წინააღმდეგ, რომელმაც ისტორიაში პირველად, დე ფაქტო დაარღვია საომარი ნეიტრალიტეტი და რუსი ოლიგარქებისთვის უკვე დაწესებულ სანქციებს შეუერთდა.

კრედიტ სუისთან წარმოებულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით დასავლურ პრესაში მორიგი სტატია გამოქვეყნდა.

სტატიაში საუბარია იმაზე, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ საფრანგეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეა. ის არ და ვერ იქნება რაიმე სახით სანქციების ქვეშ მყოფი იურიდიული და ფიზიკური პირების სიაში, ასევე ნათქვამია, რომ ივანიშვილი აგრძელებს ძალისხმევას სარჩელის დაკმაყოფილების მიზნით და აპირებს პრესკონფერენციების ორგანიზებას საერთაშორისო მედიის წარმომადგენელთათვის.

ამის შესახებ გამოცემასთან ბიძინა ივანიშვილის პრესმდივანმა განაცხადა, რომელიც ამბობს:

– ბატონი ბიძინა ძალიან უკმაყოფილოა იმით, თუ როგორ იმართება მისი აქტივები. პრინციპში, ისეთ სიტუაციაში ვართ, როდესაც ნდობით აღჭურვილი პირის ქმედებები სრულ წინააღმდეგობაში მოდის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის მიზანსა და პრინციპებთან.

რეალობა იმაში მდგომარეობს, რომ ნდობით აღჭურვილი პირის ქმედებები წინააღმდეგობრივია და მას არ გააჩნია ეკონომიკური ლოგიკა და თან საშიშ პრეცედენტს ქმნის. ბენეფიციართა ეს პოზიცია მკაფიოდ იქნა განსაზღვრული 2022 წლის 14 და 29 აპრილით დათარიღებულ წერილებში. არადა, ამ უკანასკნელზე პასუხი არასოდეს გაუცია ნდობით აღჭურვილ პირს, რადგან ნათელია, რომ მას არაფრის თქმა აღარ შეუძლია.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ბანკი თავის ქმედებებს ან ურთიერთობას უკავშირებს საერთაშორისო პოლიტიკას, რასაც პოლიტიკური წნეხის ფორმა ეძლევა ან სხვა ფაქტორებით განიმარტება. კლიენტს თავისი არგუმენტები გააჩნია მოვლენათა ამგვარი განვითარების შესახებ და დეტალებს შესაბამის დროს დააკონკრეტებს. ეს არ უკავშირდება კლიენტსა და ბანკს შორის სასამართლო გარჩევას და არც მის შედეგებს. პროცესის შედეგები ძირითადად ნათელი და პროგნოზირებადია.

2022 წლის 29 მარტს ბერმუდის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა, რითაც სრულად კმაყოფილდება მომჩივანთა – მათ შორის ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის – სარჩელი.

აღსანიშნავია, რომ სინგაპურის სასამართლო დავის შემდეგ თავს 2022 წლის სექტემბერში განიხილავს. ორ სარჩელს შორის არსებული მსგავსების გათვალისწინებით დიდად სავარაუდოა, რომ ივანიშვილის მოთხოვნა სინგაპურის სასამართლოში წარმატებით დაკმაყოფილდება.

სტატიიდან ვიგებთ, რომ მომდევნო კვირების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილი აპირებს მთელი რიგი პრესკონფერენციების ორგანიზებას საერთაშორისო მედიის წარმომადგენელთათვის. გამოცემა წერს:

„დეტალურად განიმარტება, თუ როგორ ფუნქციონირებს ეს ბანკი კონკრეტულად და შვეიცარიის საბანკო სისტემა ზოგადად, და ის თუ რამდენად დაუცველია ნებისმიერი კლიენტი შვეიცარიის ფინანსურ სექტორში გამოძიებისას.

ამასთანავე, დეტალურად იქნება განსაზღვრული, რა ტიპის საინვესტიციო პროდუქტების შეთავაზება ხდება კლიენტებისადმი ინვესტიციების მართვის ნაწილში, მათ შორის ნდობით აღჭურვილი ურთიერთობების ფარგლებში, რაც ზღუდავს კლიენტებისა და ბენეფიციართა უფლებებს.

იქვე დაკონკრეტდება, თუ როგორ შეიძლება, ნდობით აღჭურვილ პირთა კეთილი ნება ზღუდავდეს ან აღკვეთდეს წვდომას თანხების ათვისებაზე.

შვეიცარიის საბანკო სისტემის მარეგულირებელ ორგანოს არ გააჩნია ქმედითი ინსტრუმენტები შვეიცარიის საბანკო სისტემაში უხეში დარღვევების აღსაკვეთად. შვეიცარიის პროკურატურა ბანკებს იცავს და უძლურია ისინი ანგარიშვალდებულნი ამყოფონ. ამის ნაცვლად მხოლოდ ფიზიკური პირების წინააღმდეგ ხდება ვალდებულებების დაკისრება, რაც „მარტოხელა მგლის“ პრინციპით ხორციელდება.

შვეიცარიის სასამართლო სისტემამ ბანკს უბრძანა, მოპარულად მიჩნეული თანხების კლიენტისადმი დაბრუნება მხოლოდ მაშინ მოხდეს, როდესაც თანხების ამოღება მოხდებოდა მესამე მხარისგან, თან პროკურატურა უთითებს, რომ თანხები ბანკის მიერ დაბრუნებას ექვემდებარება.

ამის მიუხედავად, ბანკს არ დაუბრუნებია მოპარული თანხები და ამას იმით ხსნის, რომ ფული მესამე მხარისგან ჯერ არ ამოუღია, მათ შორის არც კლიენტთან ურთიერთობის გარდაცვლილი მენეჯერისგან“, – ვკითხულობთ სტატიაში და იქვე აღნიშნულია, რომ მედიასთან ყველა შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილი შეეცდება, დაამსხვრიოს მითები შვეიცარიული საბანკო და სასამართლო სისტემების ვითომდა შეულახავი რეპუტაციის შესახებ.

ამ თემებთან დაკავშირებით ის კონკრეტულად ისაუბრებს ბოლოდროინდელი პოლიტიკური წნეხის შესახებ და იმის თაობაზე, თუ რა დაადგინა მან ბანკისა და ნდობით აღჭურვილი პირის თაობაზე.

# 6 მაისს აჭარის მთავრობის სახლთან დაკავებული 12 პირი ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდა

აჭარის მთავრობის სახლთან 6 მაისს აქციაზე დაკავებული ნაციონალური მოძრაობის 25 წევრიდან მოსამართლემ 12 პირი ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლა.

კერძოდ, ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდნენ: რომან ვარშალომიძე, ირაკლი მექვაბიშვილი, ნუგზარ ხოზრევანიძე, ლაშა ადამია, გიორგი დიასამიძე, ბექა მექვაბიშვილი, რისმაგ ხოზრევანიძე და შალვა ჭანტურია, ლევან გორგილაძე, ბაჩი მექვაბიშვილი, გიგა თედორაძე და მინდია ცინცაძე.

მოსამართლე ალექსანდრე გოგუაძემ მხარეთა პოზიციები მოისმინა და განაცხადა, რომ მომდევნო სასამართლო პროცესი 20 მაისს გაიმართება.

დაცვის მხარემ კი გონივრული ვადა მოითხოვა, რათა მტკიცებულებებს გაეცნოს და საკუთარი პოზიცია სასამართლოში წარადგინოს.

ცნობისთვის, 6 მაისს აჭარის მთავრობის სახლთან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერები და მათი მხარდამჭერები მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანის მოთხოვნით აქციას მართავდნენ.

მათ პროტესტის ნიშნად კარვები გაშალეს, მოგვიანებით სამართალდამცავებმა კარვები აიღეს, რასაც დაპირისპირება მოჰყვა. სამართალდამცავებმა 25 პირი დააკავეს, მათი ნაწილი ბათუმის საქალაქო სასამართლომ 7 მაისს ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლა.

# ასპინძაში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალი წარედგინა

საქართველოს პროკურატურამ ასპინძაში მომხდარი განზრახ მკვლელობისა და ოჯახის წევრების მიმართ სისტემატური ცემის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურიდან აცნობეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 5 მაისს ბრალდებულმა დაბა ასპინძაში შურისძიების მოტივით, ყელის არეში დანა დაარტყა მისსავე თანასოფლელს, რომელიც მიყენებული დაზიანებებით საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მათივე ცნობით, ბრალდებული ასევე გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისტემატურად სცემდა მეუღლესა და არასრულწლოვან გერს.

პროკურატურამ ბრალდებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 11 პრიმა, 126-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა“, „დ“ და „კ“ ქვეპუნქტებით (სისტემატური ცემა დამამძიმებელ გარემოებებში) ბრალდება წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

# პროკურატურამ გიორგი და ბექა შენგელიებს ბრალი წაუყენა

საქართველოს პროკურატურამ მცხეთაში მომხდარ პოლიციელსა და მის სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმის, პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 14 აპრილს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 39-ე კილომეტრზე, მცხეთის ტერიტორიაზე, დასავლეთიდან თბილისის მიმართულებით მოძრაობის დროს, ბ.შ. თავს დაესხა და მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილი განზრახ დააჯახა საპატრულო პოლიციის თანამშრომლის, დავით მიქიაშვილის მართვის ქვეშ მყოფ ავტომობილს, რომელიც შეჯახების შედეგად ამოტრიალდა და დავით მიქიაშვილმა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება, ხოლო ბ.შ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

„საპატრულო პოლიციის თანამშრომელზე, მის ავტომობილზე თავდასხმისა და პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფის დროს, ბ.შ.-სთან ერთად ავტომობილში იმყოფებოდნენ გ.შ. და მ.ხ., რომლებმაც აღნიშნულის შესახებ არ განაცხადეს სამართალდამცავ ორგანოებში.

პროკურატურამ ბრალდებულ ბ.შ.-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით (პოლიციელზე, მის სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმა და პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა) წარუდგინა ბრალდება, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო გ.შ.-ს – 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა), რაც სასჯელის სახედ და ზომად 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადებში მიმართავს.

რაც შეეხება მ.ხ.-ს, მას ბრალდება 4 მაისს წარედგინა, ხოლო 6 მაისს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# სამეგრელოს პოლიციამ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

## დაკავებულია 2 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე 2 პირი – 1978 წელს დაბადებული დ.კ. და 1970 წელს დაბადებული კ.თ. დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დანაშაულები 7-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი სახლების და ავტომობილების ჩხრეკის შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, 2 პისტოლეტი და ვაზნები ამოიღეს.

„დ.კ.-ის მიერ ევროპიდან ჩამოყვანილი ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია 3715 აბი „სუბუტექსი“, ხოლო კ.თ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი პოლიციამ ნარკოტიკული საშუალების 2 აბი და აბის სამი ნატეხი, 2 პისტოლეტი და 57 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# რუსთავში მამაკაცმა ცოლსა და სიდედრს სცემა

რუსთავში მამაკაცმა ცოლსა და სიდედრს სცემა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, XII მიკრორაიონში 30 წლამდე მამაკაცსა და მის მეუღლეს, 25 წლამდე ქალს შორის სიტყვიერი კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ქმარმა ცოლს მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით სცემა. ქალის დახმარებას შეეცადა მისი დედა, თუმცა მამაკაცი მასაც ფიზიკურად გაუსწორდა.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ადგილზე პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცავებმა ახალგაზრდა კაცი ბრალდებულის სახით დააკავეს.

# ზელენსკი: „მალე უკრაინაში გამარჯვების ორი დღე იქნება“



დღეს ჩვენ აღვნიშნავთ ნაციზმზე გამარჯვების დღეს და არავის მივცემთ ჩვენი ისტორიის არც ერთ ნაწილს. ვამაყობთ ჩვენი წინაპრებით, რომლებმაც ჰიტლერის საწინააღმდეგო კოალიციის სხვა ერებთან ერთად დაამარცხეს ნაციზმი და არავის მივცემთ ამ გამარჯვების მითვისების უფლებას.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გუშინ, 9 მაისს, ნაციზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით გავრცელებულ მიმართვაში განაცხადა.

– ეს არ არის ორი ჯარის ომი. ეს არის ორი მსოფლმხედველობის ომი, ბარბაროსების მიერ დაწყებული ომი, რომლებმაც დაბომბეს სკოვოროდას მუზეუმი და თვლიან, რომ მათ რაკეტებს შეუძლიათ გაანადგურონ ჩვენი ფილოსოფია. ეს აღიზიანებს მათ. ეს მათთვის უცნობია. ეს აშინებს მათ. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვართ თავისუფალი ადამიანები, რომლებსაც აქვთ საკუთარი გზა. დღეს ამ გზაზე ვიბრძვით და ჩვენი მიწის ერთ ნაჭერსაც არავის მივცემთ.

დღეს აღვნიშნავთ ნაციზმზე გამარჯვების დღეს და არავის მივცემთ ჩვენი ისტორიის არც ერთ ნაწილს. ვამაყობთ ჩვენი წინაპრებით, რომლებმაც ჰიტლერის საწინააღმდეგო კოალიციის სხვა ერებთან ერთად დაამარცხეს ნაციზმი და არავის მივცემთ ამ გამარჯვების მითვისების უფლებას.

ჩვენი მტერი ოცნებობდა, რომ უარს ვიტყოდით 9 მაისის აღნიშვნასა და ნაციზმზე გამარჯვებაზე, რათა სიტყვა „დენაციფიკაციას“ მიეცეს შანსი. მილიონობით უკრაინელი ებრძოდა ნაციზმს და გაიარა რთული და გრძელი გზა. ნაცისტები განდევნეს ლუგანსკიდან, დონეცკიდან, ხოლო ხერსონი, მელიტოპოლი და ბერდიანსკი ოკუპანტებისგან გათავისუფლდა.

ნაცისტები განდევნეს იალტიდან, სიმფეროპოლიდან, ქერჩიდან და მთელი ყირიმიდან. მარიუპოლი გაათავისუფლეს ნაცისტებისგან. მათ ნაცისტები გააძევეს მთელი უკრაინიდან, მაგრამ ქალაქები, რომლებიც მე დავასახელე, განსაკუთრებით შთაგვაგონებს, რწმენას გვაძლევს, რომ ოკუპანტებს ჩვენი მიწიდან აუცილებლად განვდევნით, – აღნიშნა ზელენსკიმ.

მისი თქმით, ნაციზმზე გამარჯვების დღეს იბრძვიან ახალი გამარჯვებისთვის.

– მისკენ გზა რთულია, მაგრამ, ეჭვი არ გვეპარება, რომ გავიმარჯვებთ. რა არის ჩვენი უპირატესობა მტერზე? ჩვენ ერთი წიგნით უფრო ჭკვიანები ვართ. ეს არის სახელმძღვანელო უკრაინის ისტორიის შესახებ. ჩვენ არ გვეცოდინებოდა მწუხარება, ჩვენს ყველა მტერს რომ წაეკითხა და სწორი დასკვნები გამოეტანა.

24 თებერვალს რუსეთმა შეტევა დაიწყო. ყოველი ოკუპანტი, რომელიც ჩვენს მიწაზე მოდის, მასზე ფეხს დგამს, ერთსა და იმავე გზას მიუყვება. ჩვენ გამოვიარეთ სხვადასხვა ომი, მაგრამ ყველას ერთი და იგივე ფინალი ჰქონდა.

ჩვენს მიწაზე ტყვიები და ჭურვები დათესეს, მაგრამ ვერც ერთმა მტერმა ვერ შეძლო აქ ფესვების გადგმა. მტრის ტანკები დადიოდნენ ჩვენს მინდვრებში, მაგრამ ამან ნაყოფი არ გამოიღო. მტრის ისრები და რაკეტები დაფრინავდნენ ჩვენს ცაზე, მაგრამ ვერავინ დაჩრდილავს ჩვენს ცისფერ ცას.

არ არსებობს ბორკილები, რომლებსაც შეუძლიათ ჩვენი თავისუფალი სულის შებოჭვა. არ არსებობს ოკუპანტი, რომელიც ჩვენს თავისუფალ მიწაზე ფესვს გაიდგამს. არ არსებობს დამპყრობელი, რომელსაც შეუძლია ჩვენს თავისუფალ ხალხზე გაბატონება. ადრე თუ გვიან ჩვენ გავიმარჯვებთ. მიუხედავად ურდოსა, ნაციზმისა, პირველისა და მეორისა ერთად, რომელიც ახლანდელი მტერია, ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ეს ჩვენი მიწაა.

ჩვენ არასდროს გვიბრძოლია არავის წინააღმდეგ. ჩვენ ყოველთვის ვიბრძვით საკუთარი თავისთვის, ჩვენი თავისუფლებისთვის, ჩვენი დამოუკიდებლობისთვის, რათა ჩვენი წინაპრების გამარჯვება ფუჭი არ ყოფილიყო. ჩვენ ვიბრძვით ჩვენი შვილების თავისუფლებისთვის და ამიტომ გავიმარჯვებთ.

ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ იმას, რაც ჩვენმა წინაპრებმა გააკეთეს მეორე მსოფლიო ომში, სადაც რვა მილიონზე მეტი უკრაინელი დაიღუპა და ყოველი მეხუთე უკრაინელი ვერ დაბრუნდა შინ. საერთო ჯამში, ომს მინიმუმ 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ჩვენ არ ვამბობთ, „ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ“, რადგან მხოლოდ შეშლილს შეუძლია მოისურვოს ომის 2.194 დღის გამეორება.

ის, ვინც დღეს იმეორებს ჰიტლერის რეჟიმის საშინელ დანაშაულებს, მისდევს ნაცისტურ ფილოსოფიას, აკოპირებს ყველაფერს, რაც მათ გააკეთეს, განწირულია, რადგან მილიონობით წინაპარმა დაწყევლა, როცა მათი მკვლელის მიბაძვა დაიწყო და ამიტომ ის დაკარგავს ყველაფერს.

ძალიან მალე უკრაინაში გამარჯვების ორი დღე იქნება და ვიღაცას ერთიც არ დარჩება. მაშინ გავიმარჯვეთ, ახლაც გავიმარჯვებთ! და ხრეშჩატიკი იხილავს გამარჯვების აღლუმს – უკრაინის გამარჯვებას! – აღნიშნა ზელენსკიმ.

# რუსეთს ზუსტი დამიზნების საბრძოლო მასალის მარაგი მნიშვნელოვნად ამოეწურა

– უკრაინაში შეჭრის დაწყებისას რუსეთი საჯაროდ ავრცელებდა, რომ ჰქონდა უნარი, განეხორციელებინა წერტილოვანი დარტყმები, შეეზღუდა თანმხლები ზიანი და აცხადებდა, რომ უკრაინის ქალაქები დაცული იქნებოდნენ დაბომბვისგან.

ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის განახლებულ ინფორმაციაშია აღნიშნული.

– თუმცა, რადგან კონფლიქტი გრძელდება იმაზე დიდხანს, ვიდრე რუსეთი ომამდე ელოდა, ზუსტი დამიზნების საბრძოლო მასალის მარაგი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად ამოიწურა. ამან რუსეთი აიძულა, ადვილად ხელმისაწვდომი, მაგრამ დაძველებული საბრძოლო მასალა გამოეყენებინა, რომელიც ნაკლებად უტყუარი, ზუსტი და ადვილად მოსაგერიებელია. რუსეთი, სავარაუდოდ, იბრძოლებს იმ ზუსტი დამიზნების იარაღის ჩასანაცვლებლად, რომელიც უკვე გამოიყენა, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

მათი მტკიცებით, რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გამოავლინა ნაკლოვანებები მის უნარში, განახორციელოს ზუსტი დარტყმები.

რუსეთი უკრაინის ქალაქებსა და დასახლებებზე ინტენსიურ და განურჩეველ დაბომბვას ახორციელებს და „მცირედით ან საერთოდ არ ითვალისწინებს მსხვერპლს მშვიდობიან მოსახლეობაში“.

# „დიდი შვიდეული“ განცხადებას ავრცელებს

„დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ლიდერებმა ონლაინ შეხვედრის შემდეგ, რომელსაც უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკიც ესწრებოდა, განცხადება გაავრცელეს. ამის შესახებ დასავლური მედია იტყობინება.

„77 წლის შემდეგ სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ პრეზიდენტმა პუტინმა და მისმა რეჟიმმა უკრაინაში შეჭრა აირჩიეს. 2014 წლიდან უკრაინაში შეჭრითა და ქმედებებით რუსეთმა საერთაშორისო წესებზე დაფუძნებული წესრიგი დაარღვია, განსაკუთრებით – გაეროს წესდება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, რათა თაობები ომის უბედურებისგან დაეცვა.

დღეს ჩვენ გვქონდა პატივი, უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი შემოგვიერთდა. ჩვენ იგი სრულ სოლიდარობასა და უკრაინის გაბედული ბრძოლის მხარდაჭერაში დავარწმუნეთ“, – ნათქვამია განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ზელენსკიმ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მათი მთავარი მიზანი ახლა რუსეთის სამხედრო ძალების უკრაინიდან სრულად გაყვანაა.

„პრეზიდენტმა ზელენსკიმ ხაზი გაუსვა უკრაინის მტკიცე გადაწყვეტილებას, დაიცვას თავისი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. მან განაცხადა, რომ უკრაინის საბოლოო მიზანია, რუსეთის სამხედრო ძალებისა და აღჭურვილობის უკრაინის მთელი ტერიტორიიდან გაყვანა უზრუნველყოს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადებაში ნათქვამია, რომ „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებმა პრეზიდენტი ზელენსკი უკრაინის დასახმარებლად მათ მზაობაში დაარწმუნეს.

მათი თქმით, დახმარება სამხედრო და თავდაცვითი, კიბერინციდენტებისგან თავდაცვითი, ინფორმაციული უსაფრთხოების, ეკონომიკური და ა.შ. სახით იქნება.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფინანსურ მხარდაჭერას ქვეყნები უახლოეს კვირებში გააგრძელებენ.

ამასთან, „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებმა რუსეთის უკრაინაში შეჭრა კიდევ ერთხელ დაგმეს.

„დიდი შვიდეულის“ ლიდერებმა აღნიშნეს, რომ ომის დანაშაულების გამოძიებასა და მტკიცებულებების შეგროვების ყველა მცდელობას მიესალმებიან და პარტნიორებთან ერთად მუშაობას აგრძელებენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სამართალი

# დავით კალმახელიძე ლისის ტბაზე ცემეს

დღისით, მზისით, ახალგაზრდა მამაკაცი სათვალთვალო კამერების წინ უმოწყალოდ ცემეს, მოძალადეებმა კი ტერიტორია დაბურულმინებიანი პიკაპით დატოვეს და მიიმალნენ.

ეს საქმე არათუ არავის გამოუძიებია და უპოვია მოძალადეები, მეტიც, ნაცემ მოქალაქეს დაზარალებულის სტატუსიც კი არ მიანიჭეს.

ყველაფერი კი სახელმწიფო ტენდერით დაიწყო, სადაც დავით კალმახელიძე ქვეკონტრაქტორად შევიდა. ჯერ კერძო კომპანიამ მოატყუა, სახელმწიფომ კი მოგებული სასამართლო დავების მიუხედავად, მაინც ამ მეწარმეს წაართვა ყველაფერი და გაკოტრებისთვის გაწირა, მხოლოდ იმის გამო რომ „ზევით“ პატრონი არ აღმოაჩნდა.

უსამართლობის გამოსააშკარავებლად ამ ადამიანმა სოციალურ ქსელში ჯგუფი შექმნა და სისტემის მხილებას შეუდგა.

შედეგად, ის სასიკვდილოდ გაიმეტეს და სამუდამოდ გაჩუმება ურჩიეს.

## კალეიდოსკოპი

# სიძემ დედა პატარძლის საქორწინო კაბის გამო ქორწილიდან გააგდო



Reddit-ის მომხმარებლის თქმით, საკუთარი დედა ქორწილიდან იმის გამო გააძევა, რომ სოციალურ ქსელებში პატარძლის საქორწინო კაბის ფოტოსურათი ნებართვის გარეშე განათავსა.

კონფლიქტის მიზეზი გახდა ის, რომ პატარძალმა საქმროს დედას აუკრძალა იმ ფოტოსურათის გამოქვეყნება, რომელიც საქორწინო კაბის მოზომვის დროს გადაიღო. მას სურდა, მომავალი ქმარი და მამა გაეკვირვებინა, როდესაც საკურთხეველთან აღმოჩნდებოდა და ამისთვის ორი ფოტოგრაფიც კი დაიქირავა, რათა მათ ეს ყოველივე აღებეჭდათ.

მიუხედავად აკრძალვისა, ქორწილამდე 30 წუთით ადრე სიძის დედამ სოციალურ ქსელში საქორწინო კაბასა და ფატაში გამოწყობილი პატარძლის ფოტოსურათი გამოაქვეყნა. შეტყობინება ქორწილის ყველა სტუმარს მიუვიდა, მათ შორის პატარძლის მამასაც. ამის შედეგად სიურპრიზი ჩაიშალა.

– ჩემმა მეუღლემ ამის შესახებ მხოლოდ საქორწინო ცერემონიის შემდეგ შეიტყო, ვინაიდან საკურთხეველთან მისასვლელი სამზადისით იყო დაკავებული, – განაცხადა სიძემ.

როდესაც ეკლესიაში ცერემონია დასრულდა, სიძემ დედა ქორწილიდან გააძევა და საბანკეტო ნაწილზე დასწრების უფლება არ მისცა. სიძის დედის გაძევების შემდეგ ქორწილი ასევე დატოვეს მისმა უმცროსმა დამ, მამამ და ოჯახის კიდევ რამდენიმე წევრმა.

# მშენებელმა ლატარიაში სოლიდური თანხა მოიგო




58 წლის მშენებელმა ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატიდან ლატარიაში 100 ათასი დოლარი მას შემდეგ მოიგო, რაც მოულოდნელად გადაწყვიტა, სამსახურიდან მცირე ხნით გათავისუფლებულიყო. მამაკაცის თქმით, ის სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა, თუმცა იფიქრა, რომ იმ დღეს საქმე არ ექნებოდა და ამიტომ გადაწყვიტა, დაესვენა, შევიდა მაღაზიაში და მომენტალური ლატარიის სამი ბილეთი შეიძინა.

კაცმა ბილეთებზე დამცავი ფენა მაღაზიაშივე გადაფხიკა, შეიტყო მოგების შესახებ და მაშინვე სახლში დაბრუნდა, რათა ეს სასიხარულო ამბავი თავისი შეყვარებულისა და მათი ბავშვებისთვის ეხარებინა.

– ისინი ყველანი ძალიან გახარებული იყვნენ ამ ახალი ამბით, მაგრამ ხომ იცით გოგონების ამბავი, ყველამ რაღაცის ყიდვა მოისურვა, – განაცხადა ამერიკელმა. მამაკაცის მტკიცებით, ის მოგებულ თანხას ოჯახს მოახმარს, იზრუნებს ბავშვებზე, პირველი საჭიროების ნივთებს შეიძენს და შესაძლოა შვებულებით დასასვენებლად გაემგზავროს.

# უყურადღებობის გამო ქალმა კინაღამ მოგებული ბილეთი გადააგდო

ავსტრალიის ქალაქ მელბურნის გარეუბნის მკვიდრმა ქალმა ლატარიის ბილეთი, რომელმაც 100 ათასი ავსტრალიური დოლარი მოიგო, კინაღამ გადააგდო. ქალმა, რომლის ვინაობა არ სახელდება, ხუთი ავსტრალიური დოლარის ღირებულების მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა.

– დამცავი ფენა გადაფხიკე, ვიფიქრე, რომ ვერაფერი მოვიგე და გადავწყვიტე, ბილეთი ნაგვის ურნაში ჩამეგდო, – იხსენებს ქალი, – მაგრამ ქმარმა მითხრა: „მოდი, კიდევ ერთხელ შევამოწმოთ“. მან დაკვირვებით შეამოწმა ბილეთი და მითხრა: „შენ მოიგე!“

ქალის აღიარებით, ძალიან ბედნიერია, რომ ბილეთი არ გადააგდო და დაამატა, რომ ახლა მოგების მეუღლისთვის გაყოფა მოუწევს. მისი თქმით, ის ხშირად ყიდულობდა მომენტალური ლატარიის ბილეთებს, თუმცა აქამდე მსხვილი თანხა არასდროს მოუგია. ქალი მოგებული თანხის ნაწილით ახალი ავტომობილის შეძენას აპირებს, ხოლო დარჩენილ თანხას ბავშვებზე დახარჯავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# გიორგი შერმადინი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია



საქართველოს ნაკრების ცენტრმა გიორგი შერმადინმა ევროპული კალათბურთის ერთ-ერთი საპატიო ტიტული – ჩემპიონთა თასი მოიგო. შერმადინმა ჩემპიონთა ლიგის აქამდე გამართული მატჩებიდან აბსოლუტურ უმრავლესობაში ტენერიფელებს ერთპიროვნულად ულიდერა – იგი თითქმის ყველა მატჩის მვპ გახდა და ქართველი ცენტრის წილი ტენერიფელთა ამ წარმატებაში შეუფასებლად დიდია.

ფინალურ მატჩში, რომელსაც ბილბაომ უმასპინძლა, ტენერიფემ თანამემამულე მანრესა 98:87 დაამარცხა და საპატიო ტიტულს ზედიზედ მეორედ დაეპატრონა.

ეს არ იყო 2 კალათბურთელის მატჩი, რომელშიც უერტასი-შერმადინის დუეტი ქულების უმეტესობას აგროვებს. მანრესასთან ყველა ტენერიფელმა მაღალ დონეზე ითამაშა. კუნძულელებმა 24-დან 13 სამქულიანი ჩააგდეს.

გადამწყვეტი მე-3 პერიოდი აღმოჩნდა, რომელშიც ტენერიფემ 33:17 მოიგო, 15 ქულით დაწინაურდა და საბოლოოდ გამარჯვებამდე იოლად მივიდა.

გასაკვირად, შერმადინი ძირითად შემადგენლობაში არ ყოფილა, თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და პარკეტზე 19:28 წუთი გაატარა და გუნდს 14 ქულა შესძინა, სამჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან, ერთი შედეგიანი პასი გააკეთა და ერთხელაც ჩაჭრა. შერმადინმა 8 ორქულიანი ესროლა და 6 ჩააგდო, ხოლო 3 საჯარიმო სროლიდან 2 გამოიყენა.

ტურნირის საუკეთესო კალათბურთელი ბრაზილიელი უერტასი გახდა, რომელმაც 13 ქულას 14 პასი მიამატა. უერტასი გუნდის კაპიტანია, მაგრამ თასი მარტომ არ ასწია და შერმადინთან ერთად დუეტში აღმართა, რითაც ხაზი გაუსვა ჩვენებურის როლს ამ ტიტულის მოგებაში. შერმადინი დაჯილდოების ცერემონიალზე საქართველოს ეროვნული დროშით გავიდა, ისევე, როგორც მარსელინიო საკუთარი ქვეყნის – ბრაზილიის დროშით.

# მოურინიოს ვან ბისაკა უნდა

ჯერჯერობით გაურკვეველია იუნაიტედის განაპირა მცველის, აარონ ვან-ბისაკას ბედ-იღბალი. ბრიტანელები წერენ, რომ იტალიური რომას მწვრთნელი ჟოზე მოურინიო მისით არის დაინტერესებული და ხელმძღვანელობას მის შეძენას სთხოვს.

წერენ იმასაც, რომ ინგლისელი მცველის გადაბირება შესაძლოა ამ ზაფხულს მოხერხდეს. ვან-ბისაკას მანჩესტერელებთან კონტრაქტი 2024 წლამდე აკავშირებს. ფეხბურთელი 30 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

ამ სეზონში მარჯვენა მცველმა მანჩესტერ იუნაიტედში 26 მატჩი ჩაატარა, მაგრამ მისი სტატისტიკური მონაცემები ნულებია.

გარდა ამისა, რალფ რანგნიკის ხელმძღვანელობით ბისაკამ გუნდში ძირითადი ადგილი დაკარგა – „წითელი ეშმაკების“ მენეჯერი არჩევანს დიოგო დალოზე აკეთებს.

მანჩესტერს დატოვებენ ცენტრალური მცველები – ფილ ჯონსი და ერიკ ბაილი. ორივე მოთამაშემ გადაწყვეტილება თანაგუნდელებს უკვე განუცხადა.

28 წლის ბაილის კონტრაქტი კლუბთან 2024 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. მიმდინარე სეზონში კოტდივუარელმა 7 მატჩი ჩაატარა.

რაც შეეხება 30 წლის ჯონსს, ფეხბურთელს კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება. მის ანგარიშზე წლევანდელ სეზონში ჩატარებული მხოლოდ 5 მატჩია.

ამ ეტაპზე უცნობია, თუ სად გააგრძელებენ მოთამაშეები კარიერას. არც ერთი მათგანი კლუბის ძირითადი შემადგენლობის წევრად დიდი ხანია არ განიხილება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ბათუმის დინამომ მდევართან სხვაობა გაზარდა

**დინამო (ბთ)-დილა 3:0**
**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 კვარაცხელია (30), 2:0 ჯილაური (81), 3:0 გაფრინდაშვილი (84)

**დინამო:** კუპატაძე, მამუჩაშვილი, მ.კობახიძე, რეხვიაშვილი, აზაროვი, ალთუნაშვილი (ზარია 85), ტეიდი, რადინი (ბიძინაშვილი 72), დავითაშვილი (გ.გაფრინდაშვილი 78), ლობჯანიძე (ფლამარიონი 72), კვარაცხელია (ჯილაური 78)

**დილა:** ბულისკერია, ჩიტეიშვილი, ნონდი, ჭიჭინაძე, სილვა, სანტოსი, მოსიაშვილი (მადინგა 69), გაგნიძე, ღუდუშაური (ტავარეში 85), თ.კაპანაძე (მაქაცარია 69), გონსალვესი (დრამე 62)

მატჩის დაწყებამდე სფფ-ის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა პირველი წრის საუკეთესო მწვრთნელი გია გეგუჩაძე და საუკეთესო ფეხბურთელი ჯოვინო ფლამარიონი დააჯილდოვა. ორივენი ბათუმის დინამოს წარმომადგენლები...

თამაშს რაც შეეხება, ბათუმელებმა პირველი ტაიმი ხვიჩა კვარაცხელიას ლამაზი გოლით მოიგეს. დანარჩენი ორი გოლი კი ბოლო ათ წუთში გაიტანეს: ჯერ ჯამბულ ჯილაურმა, მერე კი თორნიკე გაფრინდაშვილმა. ორივენი ახალი შესულები იყვნენ მინდორზე. საბოლოოდ, 3:0.

დინამო ბათუმს მიმდინარე სეზონში ერთადერთი მარცხი დილასთან აქვს (1:2) და ამჯერად სრულფასოვანი რევანში აიღო.

**სიონი-დინამო (თბ) 3:7**
**ბოლნისი.**
**თამაზ სტეფანია**

0:1 ბილენკი (4), 0:2 კამარა (18), 1:2 ნ. ხორხელი (21), 2:2 ლ. ხორხელი (24), 2:3 ბილენკი (34), 2:4 გაბედავა (41), 2:5 ბენიო (50), 3:5 ტაბატაძე (52), 3:6 ბარნსი (57), 3:7 ბილენკი (90)

**სიონი:** ისიანი, კორიფაძე (ტვილდიანი 46), კილასონია (მაჩაიძე 46), ჯაფიაშვილი (კვერნაძე 69), ნემსაძე, ფოცხვერია, ნ.ხორხელი, უგრეხელიძე (კობერიძე 54), ლ.ხორხელი, ჩუკვურა (ჩაგანავა 54), თ.ტაბატაძე

**დინამო:** პრიეტო, მალი (სტივენი 86), ბენიო, კალანდაძე, ხარაბაძე, ბარნსი, მოისწრაფიშვილი (ოსიყმაშვილი 56), მექვაბიშვილი, კამარა (ლომინაძე 86), ბილენკი, გაბედავა (ხვადაგიანი 56)

10 გოლი ერთ მატჩში. სიონმა ბოლნისში 3:7 წააგო დინამო თბილისთან. კახა ცხადაძის გუნდიდან 6 გოლი ლეგიონერებმა გაიტანეს: ჰეთ-თრიქი შეასრულა უკრაინელმა სტანისლავ ბილენკიმ, თითო გოლი კი მიითვალეს გვინეელმა უსმანე კამარამ, ტოგოელმა საიმონ ბენიომ და განელმა ოსეი ბარნსმა. ერთი ბურთი ქართველმა გიორგი გაბედავამაც გაიტანა.



სიონიდან ძმებმა, ნიკა და ლუკა ხორხელებმა შეძლეს პირველი ტაიმის სამწუთიან მონაკვეთში გატანა და თამაშის დაძაბვა. მეორე ტაიმში კი ბოლნისელთაგან თომა ტაბატაძემ მოახერხა თავის გამოჩენა.

ეს წლეულს ყველაზე შედეგიანი მატჩი იყო. ისე, კრისტალბეთ ეროვნულ ლიგაში შარშანაც ვნახეთ 7:3, ბათუმის დინამომ სძლია ამ ანგარიშით თბილისის ლოკომოტივს.

**ტორპედო-საბურთალო 0:1**
**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1 შინდაგორიძე (85)

**ტორპედო:** კვასხვაძე, აბულაძე, ცინცაძე, კუხიანიძე, შულაია, მანჯგალაძე, სანდოხაძე, ბუღრიძე (არველაძე 64), ვაჩიბერაძე (ძარია 81), კარაგუნისი (ქიმაძე 71), გოგლიჩიძე

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, გოჩოლეიშვილი, ჯგერენაია, ჩადუნელი, თ.ტაბატაძე, ქარდავა, ბენედიკი (ო.მამაგეიშვილი 77), ლ.ნონიკაშვილი (გ.მამაგეიშვილი 90), ქავთარაძე (შინდაგორიძე 77), გულიაშვილი, სიხარულიძე

ქუთაისის ტორპედომ შინ 0:1 წააგო საბურთალოსთან. გოლი ბოლო წუთებზე ლაშა შინდაგორიძემ გაიტანა, რომელიც 9 წუთის შესული იყო მოედანზე. გოლი ლევან ნონიკაშვილი-იური ტაბატაძე-შინდაგორიძის კარგ კომბინაციას მოჰყვა.

საბურთალომ ბოლო 5 მატჩიდან 4 მოიგო. ლევან კორღალიძის გუნდი მეოთხე პოზიციაზეა. რაც შეეხება ტორპედოს, ბოლო 4 შეხვედრაში დამარცხდნენ და მერვე ადგილზე არიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 12 | 8 | 3 | 1 | 28-7 | 27 |
| 2.დინამო (თბ) | 12 | 6 | 4 | 2 | 21-11 | 22 |
| 3.დილა | 12 | 7 | 1 | 4 | 15-11 | 22 |
| 4.საბურთალო | 12 | 6 | 3 | 3 | 19-13 | 21 |
| 5.სამგურალი | 11 | 4 | 5 | 2 | 13-8 | 17 |
| 6.თელავი | 11 | 4 | 4 | 3 | 14-8 | 16 |
| 7.გაგრა | 11 | 4 | 2 | 5 | 12-17 | 14 |
| 8.ტორპედო | 12 | 3 | 2 | 7 | 8-20 | 11 |
| 9.სიონი | 12 | 2 | 4 | 6 | 14-26 | 10 |
| 10.ლოკომოტივი | 11 | 0 | 0 | 11 | 6-29 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## სანდრო ბაზაძემ მსოფლიო თასზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრების ლიდერი სანდრო ბაზაძე მადრიდში გამართულ მსოფლიო თასზე მესამე ადგილზე გავიდა და მსოფლიო რეიტინგშიც მე-3 ადგილზე დაბრუნდა.

სანდრომ მადრიდში ამერიკელი ელი დერშვიცი 15:10 დაამარცხა, ტუნისელ ფარეს ფერჯანს 15:11 მოუგო, დიდ ბრიტანელ ვილიამ დეარს 15:6 აჯობა, ხოლო გერმანელ კოლინ ჰიჩკოკს 15:14 სძლია. ჩვენებური ნახევარფინალში იტალიელ ლუკა კურატოლისთან დაძაბულ ბრძოლაში 14:15 დამარცხდა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. მადრიდში ოქროს მედალს სამხრეთკორეელი სანგუკ ოჰი დაეუფლა, რომელიც 192 ქულით ლიდერობს კიდეც რეიტინგ-სიას, მის თანამემამულე იუნგჰვან კიმს 189 ქულა აქვს, ხოლო სანდროს – 186.

როგორც ხედავთ, ბაზაძეს ევროპელებში საუკეთესო შედეგი აქვს.

აქვე გეტყვით, რომ მადრიდში საქართველოს ნაკრებმა გუნდურ შეჯიბრებაშიც მონაწილეობდა: სანდრო და ბექა ბაზაძემ, გოგა კაკაურიძემ და ლაშა კუჭუხიძემ საწყის ეტაპზე ბელგია 45:24 დაამარცხეს, შემდეგ ირანს 45:44 სძლიეს, მეოთხედფინალში კი უნგრეთის უძლიერეს ნაკრებთან 23:45 წააგეს.

ქართველმა მოფარიკავეებმა მე-5 ადგილისთვის ბრძოლაში აშშ-ს 45:39 მოუგეს, რასაც საფრანგეთთან წაგება მოჰყვა – 36:45 და ჩვენი გუნდი მსოფლიო თასის მონაწილე 26 ნაკრებს შორის მე-6 ადგილზე გავიდა.

# შედეგები

## 8 მაისი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ლიდსი ........................ 2:1
ლესტერი-ევერტონი ........................ 1:2
ნორვიჩი-ვესტ ჰემი ........................ 0:4
სიტი-ნიუკასლი ........................ 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 35 | 27 | 5 | 3 | 89-21 | 86 |
| 2.ლივერპული | 35 | 25 | 8 | 2 | 87-23 | 83 |
| 3.ჩელსი | 35 | 19 | 10 | 6 | 70-31 | 67 |
| 4.არსენალი | 35 | 21 | 3 | 11 | 56-42 | 66 |
| 5.ტოტენჰემი | 35 | 19 | 5 | 11 | 60-40 | 62 |
| 6.მანჩესტერი | 37 | 16 | 10 | 11 | 57-56 | 58 |
| 7.ვესტ ჰემი | 36 | 16 | 7 | 13 | 57-46 | 56 |
| 8.ვულვზი | 35 | 15 | 5 | 15 | 35-34 | 50 |
| 9.ბრაიტონი | 36 | 11 | 14 | 11 | 38-42 | 47 |
| 10.კრ.პალასი | 35 | 10 | 14 | 11 | 46-42 | 44 |
| 11.ასტონ ვილა | 34 | 13 | 4 | 17 | 47-47 | 43 |
| 12.ბრენტფორდი | 36 | 12 | 7 | 17 | 44-52 | 43 |
| 13.ნიუკასლი | 36 | 11 | 10 | 15 | 40-61 | 43 |
| 14.ლესტერი | 34 | 11 | 9 | 14 | 49-56 | 42 |
| 15.საუთჰემპტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 41-61 | 40 |
| 16.ევერტონი | 34 | 10 | 5 | 19 | 37-56 | 35 |
| 17.ბარნლი | 35 | 7 | 13 | 15 | 32-49 | 34 |
| 18.ლიდსი | 35 | 8 | 10 | 17 | 39-74 | 34 |
| 19.უოტფორდი | 35 | 6 | 4 | 25 | 32-70 | 22 |
| 20.ნორვიჩი | 35 | 5 | 6 | 24 | 22-75 | 21 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-გლადბახი ........................ 1:1
ბაიერნი-შტუტგარტი ........................ 2:2
ლაიფციგი-აუგსბურგი ........................ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 33 | 24 | 4 | 5 | 95-35 | 76 |
| 2.დორტმუნდი | 33 | 21 | 3 | 9 | 83-51 | 66 |
| 3.ლევერკუზენი | 33 | 18 | 7 | 8 | 78-46 | 61 |
| 4.ლაიფციგი | 33 | 17 | 6 | 10 | 71-36 | 57 |
| 5.ფრაიბურგი | 33 | 15 | 10 | 8 | 57-44 | 55 |
| 6.უნიონი | 33 | 15 | 9 | 9 | 47-42 | 54 |
| 7.კიოლნი | 33 | 14 | 10 | 9 | 51-47 | 52 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 33 | 13 | 7 | 13 | 57-55 | 46 |
| 9.მაინცი | 33 | 13 | 6 | 14 | 48-43 | 45 |
| 10.გლადბახი | 33 | 11 | 9 | 13 | 49-60 | 42 |
| 11.ბოხუმი | 33 | 12 | 6 | 15 | 36-49 | 42 |
| 12.აინტრახტი | 33 | 10 | 11 | 12 | 43-47 | 41 |
| 13.ვოლფსბურგი | 33 | 12 | 5 | 16 | 41-52 | 41 |
| 14.აუგსბურგი | 33 | 9 | 8 | 16 | 37-55 | 35 |
| 15.ჰერტა | 33 | 9 | 6 | 18 | 36-69 | 33 |
| 16.შტუტგარტი | 33 | 6 | 12 | 15 | 39-58 | 30 |
| 17.არმინია | 33 | 5 | 12 | 16 | 26-52 | 27 |
| 18.ფიურტი | 33 | 3 | 9 | 21 | 27-80 | 18 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-დინამო ........................ 2:2
კილი-ნიურნბერგი ........................ 3:0
აუე-ვერდერი ........................ 0:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-რაიო ........................ 0:0
ვილიარეალი-სევილია ........................ 1:1
ესპანიოლი-ოსასუნა ........................ 1:1
ატლეტიკო-რეალი ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 35 | 25 | 6 | 4 | 73-30 | 81 |
| 2.ბარსელონა | 35 | 20 | 9 | 6 | 65-35 | 69 |
| 3.სევილია | 35 | 17 | 14 | 4 | 51-29 | 65 |
| 4.ატლეტიკო | 35 | 19 | 7 | 9 | 60-41 | 64 |
| 5.ბეტისი | 35 | 17 | 7 | 11 | 57-40 | 58 |
| 6.სოსიედადი | 35 | 15 | 11 | 9 | 34-34 | 56 |
| 7.ვილიარეალი | 35 | 14 | 11 | 10 | 55-34 | 53 |
| 8.ბილბაო | 35 | 13 | 13 | 9 | 41-34 | 52 |
| 9.ოსასუნა | 35 | 12 | 10 | 13 | 36-46 | 46 |
| 10.ვალენსია | 35 | 10 | 14 | 11 | 45-49 | 44 |
| 11.სელტა | 35 | 11 | 10 | 14 | 41-38 | 43 |
| 12.რაიო | 35 | 11 | 9 | 15 | 35-39 | 42 |
| 13.ესპანიოლი | 35 | 10 | 10 | 15 | 38-50 | 40 |
| 14.ელჩე | 35 | 10 | 9 | 16 | 37-48 | 39 |
| 15.ხეტაფე | 35 | 8 | 13 | 14 | 31-37 | 37 |
| 16.კადისი | 35 | 7 | 14 | 14 | 33-47 | 35 |
| 17.გარნადა | 35 | 7 | 13 | 15 | 43-59 | 34 |
| 18.მალიორკა | 35 | 8 | 8 | 19 | 32-62 | 32 |
| 19.ლევანტე | 35 | 6 | 11 | 18 | 44-67 | 29 |
| 20.ალავესი | 35 | 7 | 7 | 21 | 28-60 | 28 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კარტახენა-ლეგანესი ........................ 0:0
ეიბარი-ვალიადოლიდი ........................ 0:2
იბიცა-ლუგო ........................ 1:1
სარაგოსა-ალკორკონი ........................ 0:3

**იტალია. სერია ა**

სპეცია-ატალანტა ........................ 1:3
ვენეცია-ბოლონია ........................ 4:3
სალერნიტანა-კალიარი ........................ 1:1
ვერონა-მილანი ........................ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 36 | 24 | 8 | 4 | 64-31 | 80 |
| 2.ინტერი | 36 | 23 | 9 | 4 | 78-31 | 78 |
| 3.ნაპოლი | 36 | 22 | 7 | 7 | 68-31 | 73 |
| 4.იუვენტუსი | 36 | 20 | 9 | 7 | 55-33 | 69 |
| 5.ლაციო | 36 | 18 | 8 | 10 | 72-53 | 62 |
| 6.რომა | 35 | 17 | 8 | 10 | 55-40 | 59 |
| 7.ატალანტა | 36 | 16 | 11 | 9 | 65-45 | 59 |
| 8.ფიორენტინა | 35 | 17 | 5 | 13 | 54-47 | 56 |
| 9.ვერონა | 36 | 14 | 10 | 12 | 62-55 | 52 |
| 10.ტორინო | 36 | 12 | 11 | 13 | 45-38 | 47 |
| 11.სასუოლო | 36 | 12 | 11 | 13 | 61-62 | 47 |
| 12.უდინეზე | 36 | 10 | 14 | 12 | 55-55 | 44 |
| 13.ბოლონია | 36 | 11 | 10 | 15 | 42-52 | 43 |
| 14.ემპოლი | 36 | 9 | 10 | 17 | 48-69 | 37 |
| 15.სამპდორია | 36 | 9 | 6 | 21 | 42-59 | 33 |
| 16.სპეცია | 36 | 9 | 6 | 21 | 38-66 | 33 |
| 17.სალერნიტანა | 36 | 7 | 9 | 20 | 32-73 | 30 |
| 18.კალიარი | 36 | 6 | 11 | 19 | 33-65 | 29 |
| 19.ჯენოა | 36 | 4 | 16 | 16 | 27-56 | 28 |
| 20.ვენეცია | 36 | 6 | 7 | 23 | 33-68 | 25 |

**საფრანგეთი. ლიგა 1**

მეცი-ლიონი ........................ 3:2
ანჟე-ბორდო ........................ 4:1
კლერმონი-მონპელიე ........................ 2:1
რეიმსი-ლანსი ........................ 1:2
ლორიანი-მარსელი ........................ 0:3
პსჟ-ტრუა ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 36 | 24 | 8 | 4 | 81-36 | 80 |
| 2.მარსელი | 36 | 20 | 8 | 8 | 59-36 | 68 |
| 3.მონაკო | 36 | 19 | 8 | 9 | 59-36 | 65 |
| 4.რენი | 35 | 19 | 5 | 11 | 77-36 | 62 |
| 5.სტრასბური | 36 | 16 | 12 | 8 | 59-39 | 60 |
| 6.ნიცა | 35 | 18 | 7 | 10 | 44-29 | 60 |
| 7.ლანსი | 36 | 16 | 10 | 10 | 57-45 | 58 |
| 8.ლიონი | 36 | 15 | 11 | 10 | 61-48 | 55 |
| 9.ნანტი | 35 | 14 | 9 | 12 | 50-43 | 51 |
| 10.ლილი | 36 | 13 | 12 | 11 | 43-45 | 51 |
| 11.ბრესტი | 36 | 13 | 9 | 14 | 45-49 | 48 |
| 12.რეიმსი | 36 | 10 | 13 | 13 | 39-40 | 43 |
| 13.მონპელიე | 36 | 12 | 7 | 17 | 49-55 | 43 |
| 14.ანჟე | 36 | 9 | 11 | 16 | 42-54 | 38 |
| 15.ტრუა | 36 | 9 | 10 | 17 | 35-49 | 37 |
| 16.კლერმონი | 36 | 9 | 9 | 18 | 38-66 | 36 |
| 17.ლორიანი | 36 | 8 | 10 | 18 | 34-62 | 34 |
| 18.სტ.ეტიენი | 35 | 7 | 10 | 18 | 38-70 | 31 |
| 19.მეცი | 36 | 5 | 13 | 18 | 34-64 | 28 |
| 20.ბორდო | 36 | 5 | 12 | 19 | 48-89 | 27 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ნაიმეგენი-იგლზი ........................ 1:0
ალკმაარი-აიაქსი ........................ 2:2
ვიტესი-ჰერენვენი ........................ 1:2
ფეინოორდი-პსვ ........................ 2:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ვიზელა-მარიტიმუ ........................ 1:1
ჟილ ვისენტე-ტონდელა ........................ 3:0
ბრაგა-აროუკა ........................ 1:0
სანტა კლარა-ფერეირა ........................ 2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

სენ ჟილუა-ბრიუგე ........................ 0:2
ანტვერპენი-ანდერლეხტი ........................ 0:4

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

კლაგენფურტი-შტურმი ........................ 1:2
ზალცბურგი-ვოლფსბერგერი ........................ 4:0
აუსტრია-რაპიდი ........................ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალთაი-გირესუნი ........................ 1:1
მალათია-რიზე ........................ 1:3
ბეშიქთაში-ფენერბახჩე ........................ 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

რეინჯერსი-დ.იუნაიტედი ........................ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-პაოკი ........................ 1:0
აეკი-პანათინაიკოსი ........................ 0:0
არისი-ოლიმპიაკოსი ........................ 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-სიონი ........................ 0:1
ლოზანა-ბაზელი ........................ 0:0
ლუცერნი-სერვეტი ........................ 4:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-სპარტა ........................ 3:0
სლავია-სლოვაცკო ........................ 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხია-სტალი ........................ 3:2
ჩენსტოხოვა-კრაკოვია ........................ 1:1
პიასტი-ლეხი ........................ 1:2

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

პაკში-კიშვარდა ........................ 0:1
ზალაეგერსეგი-დირმოტი ........................ 0:1
უიფეშტი-ფეჰერვარი ........................ 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ბრონდბიუ-კოპენჰაგენი ........................ 1:1
ოლბორგი-მიდტიულანდი ........................ 1:2
ნორდსიელანდი-ოდენსე ........................ 1:1
ორხუსი-სონდერიისკე ........................ 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ვარბერგი-სირიუსი ........................ 0:2
კალმარი-ჰამარბი ........................ 2:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბოდო-ლილესტრიომი ........................ 1:1
ერვი-ტრომსო ........................ 1:1
სანდერფიორდი-ვალერენგა ........................ 1:3
სტრომგოდსეტი-რუსენბორგი ........................ 3:0
ჰაუგესუნდი-კრისტიანსუნდი ........................ 2:0
ჰამ კამი-ალესუნდი ........................ 0:0


**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად".

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**



**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ყველაზე დიდი ქალაქი სიცილიაში; 2. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე; 3. მეორე ხმა ქართულ ხალხურ სიმღერაში; 4. მწერიჭამია ჭაობის მცენარე; 5. შუშხუნა ღვინო; 9. ჩვილი ბავშვის საწოლი; 12. იტალიელი კომიკოსი; 14. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელთა გუნდის მეკარე; 15. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 17. მდინარე დელიში; 18. აეროპორტი თელ-ავივში.

**თარაზულად:** 6. ტაძარი თბილისში; 7. ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის კურსის დადგენა ბირჟაზე; 8. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 10. პოემა „ბახტრიონის" პერსონაჟი; 11. ფოტოხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 13. სერბეთის პარლამენტი; 16. პატარა, ერთბინიანი, მანსარდებიანი სახლი; 19. აღმოსავლური მოხრილი პირის მქონე ხანჯალი; 20. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული კომპანია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იეკა; 2. ემი; 3. კორონაცია; 4. ტემზა; 5. ჰამსუნი; 8. დილა; 9. ბარნელა; 10. კაბინეტი; 12. ბერდია; 13. ტრალი; 15. ცეისი.

**თარაზულად:** 1. ისაკაძე; 6. მოწამეთა; 7. ენდრო; 10. კლოდი; 11. პლაზა; 13. ტუნგი; 14. მოცვი; 16. დუმა; 17. არაბიკა; 18. აპნისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პატენტი; 2. ბრიხი; 3. ბოტიჩელი; 4. ბულბული; 5. ქონდაქარი; 9. ქოთანი; 12. ჰოფმანი; 14. ნუნცია; 15. გუჩი; 17. დუვრი; 18. ოლქი.

**თარაზულად:** 6. ნადური; 7. კონსუელო; 8. ფელახი; 10. დუნია; 11. ციცინათელა; 13. ანტიგონე; 16. ფოლადი; 19. ლოკატორი; 20. დანტისტი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


10 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0318

ევრო — 3.2110

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.7506

100 რუსული რუბლი — 4.5709

## ამინდის პროგნოზი 10 მაისისათვის




## რონალდუ შესაძლოა მანჩესტერ იუნაიტედში დარჩეს



მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ შესაძლოა გუნდში დარჩეს, რადგან მას სჯერა, რომ მანჩესტერს აქვს პოტენციალი, რომ მომავალ წელს ტიტულები მოიგოს.

გარდა ამისა, რონალდუს არ სურს ისეთ გუნდში გადასვლა, რომელიც უმაღლესი მიზნებისთვის არ იბრძოლებს.

რონალდუმ ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა და ის მანჩესტერის საუკეთესო ბომბარდირია.

## ბენზემა: „რეალი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ფიქრობს“



მადრიდის რეალი ატლეტიკოსთან დამარცხდა ანგარიშით 0:1. მატჩის შემდეგ რეალის ლიდერმა კარიმ ბენზემამ ისაუბრა იმ ფაქტზე, რომ რეალი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ფიქრობს და მათ სხვა მიზნები წელს უკვე აღარ აქვთ:

— ჩემპიონატი უკვე მოვიგეთ, ამიტომ გუნდი მთლიანად ჩემპიონთა ლიგის ფინალზეა კონცენტრირებული. გულშემატკივარს ეს ესმის და ისინი ჩვენგან დარჩენილ მატჩებში ბევრს არ ითხოვენ.

## სალაჰი: „ვიცით, რომ ჩემპიონობა გაგვიჭირდება“



ლივერპულის ეგვიპტელმა ფორვარდმა მოჰამედ სალაჰმა თავისი გუნდის საჩემპიონო შანსებზე ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპულს გაუჭირდება ჩემპიონატის მოგება, თუმცა ისინი მაინც ბოლომდე იბრძოლებენ:

— ტოტენჰემთან ფრემ ჩვენი მდგომარეობა გაართულა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დავნებდებით, თუმცა კარგად გვესმის, ჩემპიონატის მოგება რთული იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## „სუხიშვილები“ უკრაინელი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების დასახმარებლად იცეკვებს



ანსამბლი „სუხიშვილები“ არ წყვეტს საქველმოქმედო კონცერტების ციკლს და უკრაინის დასახმარებლად კვლავაც საღამოებს მართავს.

14-15 მაისს თბილისის საკონცერტო დარბაზში „სუხიშვილების“ კონცერტზე წარმოდგენილი იქნება ანსამბლის კლასიკური პროგრამა ორ განყოფილებად.

ანსამბლის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კონცერტი ჩატარდება უკრაინის ქალაქ ივანო-ფრანკოვსკის სტეფანიკის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მხარდასაჭერად.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

●●●

მამაკაცი სტუმართან თავს იწონებს და ეუბნება:

— ჩვენთან მკურნალობა უფასოა.

— ეგ როგორ?

— ფასიანი მხოლოდ წამლები, შპრიცები, ბინტები, რენტგენი, გამოკვლევა და ოპერაციაა, თავად მკურნალობა კი უფასოა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— გავიგე, კატა აგიყვანია და როგორ იქცევა?

— იმ დასკვნამდე მივედი, რომ მექცევა, როგორც ღმერთს.

— ეგ როგორ?

— მანამდე მიკეთებს იგნორირებას, სანამ ჩემგან რამე არ დასჭირდება.

●●●

ლექტორი სტუდენტებს ეუბნება:

— თუ მე თქვენ ჩათვლას დაგიწერთ, ბოლოს და ბოლოს, დიპლომებს მიიღებთ და ინჟინრები გახდებით, ხოლო თუ არ დაგიწერთ, მაშინ ჯარში აღმოჩნდებით და ჩვენი დაცვა დაგევალებათ. ჰოდა, ახლა ვფიქრობ, რომელი უფრო უარესია...

●●●

მოხუცმა ქალმა ავტობუსში პოემა „განდეგილიდან“ მთელი თავი ზეპირად წაიკითხა. აღფრთოვანებულმა მგზავრებმა ტაშით დააჯილდოვეს. მან კი ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა:

— აი, ეს მახსოვს, ხოლო რა ჯანდაბად ამოვედი ამ ავტობუსში, ვერ ვიხსენებ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიორგი ქებურია რუსეთიდან მიღებულ შეკვეთებს აუქმებს



დიზაინერი გიორგი ქებურია აუქმებს ყველა შეკვეთას, რომლებიც რუსეთიდან აქვს მიღებული და უკრაინის დასახმარებლად გაყიდვების კამპანიას იწყებს:

— ჩვენ ერთად ვდგავართ უკრაინასთან და ვუერთდებით ქართველი დიზაინერების პროტესტს.

ჩვენ არ გვაქვს იმდენი მაღაზია რუსეთში, რამდენიც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მაგრამ ვაუქმებთ ყველა მიმდინარე შეკვეთას რუსეთიდან.

ჩვენ ვწირავთ 3000 ევროს და ვიწყებთ გაყიდვების კამპანიას დამატებითი მხარდაჭერის მოსაზიდად.

თქვენზეა დამოკიდებული მონაწილეობა.

ვიწყებთ ქუდით — ეს უნიკალური დიდი ზომის ქუდი ხელნაკეთი იყო თურქეთის მარაბუსგან. ის არ არის დამზადებული მასობრივი წარმოებისთვის. ის განკუთვნილი იყო მხოლოდ სტილისტებისა და ვიაიპი კლიენტებისთვის. ფასი: 3000 ევრო.

2 კვირის განმავლობაში ჩვენს ვებგვერდზე არსებული ყველა გაყიდვიდან შემოსული თანხა სრულად გადაეცემა უკრაინელი ხალხის ჰუმანიტარულ დახმარებას.

## „ევროვიზია 2022“ ოფიციალურად გაიხსნა




სიმღერის საერთაშორისო კონკურსი „ევროვიზია 2022“ იტალიის ქალაქ ტურინში ოფიციალურად გაიხსნა. ფირუზისფერ ხალიჩაზე კონკურსში მონაწილე 40 ქვეყნის წარმომადგენელმა გაიარა, მათ შორის, საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფმა „სირკუს მირკუს“.

ევროვიზიის ნახევარფინალები 10 და 12 მაისს გაიმართება. საქართველო კონკურსის მეორე ნახევარფინალში მე-5 ნომრად იმღერებს. ყველა კონკურსანტის გამოსვლის შემდეგ მათთვის მიცემული ხმები დაჯამდება და გახდება ცნობილი, გადავა თუ არა ფინალში საქართველო.

14 მაისს კი კონკურსის დასკვნითი ეტაპი ჩატარდება. კონკურსანტებს დიდი ხუთეულის ქვეყნების მონაწილეებიც შეუერთდებიან და ყველა ერთად გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

## შალვა მოსიძის 85 წლის იუბილე კონცერტით აღინიშნება



ლეგენდარული დირიჟორისა და ქორმაისტერის შალვა მოსიძის 85 წლის იუბილე კონცერტით აღინიშნება.

ღონისძიება რიგით მე-17 საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალის ფარგლებში გაიმართება. არაერთი უნიჭიერესი ხელოვანის აღმზრდელი მაესტროს 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმღერის ნამდვილი დღესასწაული გაიმართება.

ინფორმაცია სამების საპატრიარქო გუნდმა გაავრცელა:

— 10 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში სამების საპატრიარქო გუნდი მისი მასწავლებლის, მენტორისა და კონსულტანტის, გუნდის ესთეტიკისა და მიმართულების მთავარი მსაზღვრელისა და მიუწვდომელი იდეალის, ლეგენდარული დირიჟორისა და ქორმაისტერის, შალვა მოსიძის საიუბილეო კონცერტია.

## ლანა ღოღობერიძე ნიკოლოზ წულუკიძეს: „ვერ ჩაიკეტები საკუთარ ტკივილში“



ასე მიმართავს კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძეს და მის ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიას წერილით ეხმაურება:

— ჩემო ნიკა, თბილისში არ ვარ და ამიტომ ვერ გნახე. მინდა, როგორღაც გითხრა, რომ შენ გვერდით ვარ, მაგრამ სიტყვებს ვერ ვპოულობ. შენ ისეთი რამ დაგემართა, რაც ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება — ადამიანმა შვილი არ უნდა დაიტიროს. ამიტომ ამ დროს ნუგეშის სიტყვებიც არ არსებობს.

და მაინც ვცდილობ, მოვძებნო რაღაც, რაც შემიძლია გითხრა. ალბათ, უბრალოდ, იმისთვის, რომ ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო შენ მიმართ. იქნებ ეს იყოს სითბოს ერთი წვეთი შენს უსასრულო სასოწარკვეთაში. შენ ისეთი ახალგაზრდა ხარ და იმდენი ადამიანია გარშემო, ვისაც ნამდვილად სჭირდები. მარტო ახლობლებს არ ვგულისხმობ. მე ჩემი თვალით მინახავს ისინი, ვისაც შენ ასაკით თუ უმწეობით მოგვრილი მარტოობის განცდა შეუმსუბუქე, თანაც მაშინ, როცა ამას თითქოს არაფერი არ გავალდებულებდა, შენი ბუნებრივი მოთხოვნილების გარდა. ჰოდა, ცხოვრება გრძელდება და იმათ, ვისაც უჭირს, შენ ისევ სჭირდები. ეს ადგილი შენ თვითონ მოიპოვე ცხოვრებაში, კაცთა შორის. შენი გახსნილობა, სხვისი ტკივილის გაგების უნარი, შენი გულწრფელობა, შენი იმედიანი ღიმილი.

ეს ყველაფერი ისეთი იშვიათობაა დღეს და ისე გვჭირდება ყველას, ყველას! იმასაც კი, ვისაც ეს გააზრებულიც არა აქვს, ვინც თვითონ არის გაბოროტებული და გარშემო ყველა მტრად მიაჩნია.

ვწერდი ამ წერილს და ყოველი სიტყვა ისე უსუსურად მეჩვენებოდა იმ ტკივილთან შედარებით, რომელსაც შენ და შენი ოჯახი განიცდით. და მაინც, გულწრფელ სიტყვას ყოველთვის აქვს აზრი. მას შეუძლია დაგანახოს შენი განცდა საერთო კონტექსტში. ეს კონტექსტი კი გულისხმობს, რომ ცხოვრება ხშირად არის უსამართლო და უაზროდ ულმობელი. და მე მინდა გამოვხატო ჩემი რწმენა, რომ შენნაირ ადამიანს ეს გაუსაძლისი უსამართლობაც ვერ დათრგუნავს. შენ ვერ ჩაიკეტები საკუთარ ტკივილში, საკუთარ თავში. და პირიქით, ეს მართლაც უსასრულო ტანჯვა კიდევ უფრო გააღრმავებს შენს თანაგრძნობას ადამიანთა მიმართ.

ჩემო ნიკა, მიგულე შენ გვერდით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



10 მაისისათვის

**ვერძი** — გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. **კურო** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **ტყუპები** — ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. **კირჩხიბი** — მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. ისწავლეთ და იშრომეთ შეუპოვრად. **ლომი** — ახალშეძენილი თანამოაზრეები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. **ქალწული** — ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **სასწორი** — კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **ღრიანკალი** — რეალობას ნუ მოსწყდებით და ილუზიებს ნუ აჰყვებით. პროფესიული კუთხით მცირე პრობლემები იჩენს თავს. **მშვილდოსანი** — სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით. შეცდომის დაშვებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიეთ. **თხის რქა** — ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მერწყული** — პასიური დღეა. საღამოს სასიამოვნო სიახლეებისათვის მოემზადეთ. **თევზები** — სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 2. იაპონელი მწერალი, რომან „საკურას“ ავტორი; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 4. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 5. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 8. მატყლის ძაფის სართავი, უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 9. პიროტექნიკური ტკაცუნა; 10. უბანი ქუთაისში; 12. ჟარგონი, არგო ინგლისურ ენაში; 13. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 15. ჯეიმს ჯოისის რომანი.

**თარაზულად:** 1. სანახაობითი, თეატრალიზებული თამაში-წარმოდგენა ძველად საქართველოში; 6. ტყავის დამამუშავებელი საამქრო ძველად; 7. რაიმეს საზღვარი, ზღუდე; 10. გარეული ცხოველი, აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო; 11. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 13. აზია-ევროპის გამყოფი ქედი; 14. ესპანელი კინოვარსკვლავი ქალი; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 18. ფულის ერთეული ისრაელში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

